პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б)
ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР
გამოცემის 30-ე წელი

სამშაბათი, 3 იანვარი, 1950 წ. № 2 (8562). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

მრისხანე გაფრთხილება ახალი ომის გამჩაღებლებს—„პრავდის“ 2/I მოწინავე (1-ლი გვერდი).
მოსკოვში გაიხსნა მეტროპოლიტენის ახალი ხაზი (1-ლი გვერდი).
საკდესის კორესპონდენტის ინტერვიუ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნ მაო ძე-დუნთან (1-ლი გვერდი).
მისალმებათა ნაკადი (მე-2 გვერდი).
სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში (მე-2 გვერდი).
ალ. ხაჩიძე — სანიმუშოდ ჩავატაროთ პირუტყვის აღწერა (მე-2 გვერდი).
ა. კოკილაშვილი — დიდების ქალაქი (მე-3 გვერდი).
სასამართლო პროცესი იაპონიის არმიის ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა საქმეზე, რომელთაც ბრალად ედებათ ბაქტერიოლოგიური იარაღის მომზადება და გამოყენება (მე-3 და მე-4 გვერდი).

მრისხანე გაფრთხილება ახალი ომის გამჩაღებლებს

ამ დღეებში ხაბაროვსკში დამთავრდა სასამართლო პროცესი იაპონიის არმიის ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა საქმის გამო. ამ პროცესს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მან არაჩვეულებრივი სიცხადით დაგვანახვა მხეცური სახე იაპონიის ყაჩაღური იმპერიალიზმისა, რომელიც დიდი საიდუმლოებით ამზადებდა ბაქტერიოლოგიურ ომს — აგრესიის ერთ-ერთ ყველაზე არაადამიანურ იარაღს. ამასთან პროცესი მრისხანე გაფრთხილებაა ახალი ომის გამჩაღებელთათვის.

მთელი საბჭოთა ხალხი, მთელ მსოფლიოში მშვიდობის მილიონობით მომხრე კმაყოფილებით შეხვდა სამხედრო ტრიბუნალის მიერ იმ ჯალათთა ავაზაკური ბანდისათვის გამოტანილ სამართლიან განაჩენს, რომელნიც ბაქტერიოლოგიური ომის საშინელ უბედურებას უმზადებდნენ კაცობრიობას.

ხაბაროვსკის პროცესი, წერს ჩინეთის გაზეთი „ჟენმინჟიბაო“, „წარმოადგენს ღონისძიებას, რომელიც მიმართულია შორეული აღმოსავლეთის დაცვისაკენ და მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისაკენ. ჩვენ, ჩინელი ხალხი, რომელმაც იაპონელებთან რვა წლის მძიმე ომი გამოვიარეთ, ვიწონებთ ამ სამართლიან აქტს ჩვენი დიდი მეგობარი მეზობლის საბჭოთა კავშირის მხრივ“.

გენერლისა და ოფიცრის მუნდირებით გამოწყობილი იაპონელი მტარვალები მსჯავრდადებული არიან. მაგრამ ბრალდებულთა სკამზე მსხდომი ინკვიზიტორებით სრულიადაც არ ამოიწურება კაცობრიობის წინააღმდეგ საზარელი დანაშაულობის ჩამდენთა სია. ბევრნი იმათგანი, ვისი ადგილიც ბრალდებულთა სკამზეა იამადას, კაძიცუკას, ტაკაჰასის, კავასიმას, სატოს და სხვების გვერდით, თავიანთი ოკეანეს იქითა მფარველების ზურგს არიან ამოფარებულნი.

ხაბაროვსკის სასამართლო პროცესის მასალებმა იმის უცილობელი დამამტკიცებელი საბუთები მოგვცეს, რომ მომაკვდინებელი ბაქტერიოლოგიური ომის მომზადების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო იაპონიის მმართველი ხროვა იმპერატორ ხიროხიტოს მეთაურობით. ბაქტერიოლოგიური იარაღით მილიონობით ადამიანის გაჟლეტის ბარბაროსული გეგმები მუშავდებოდა იაპონიის გენერალურ შტაბში. ეს გეგმები შეადგენდნენ მსოფლიო ბატონობის დამყარების იაპონური უგუნური გეგმების განუშორებელ ნაწილს.

„ამ ქვეყნად იაპონიის მისიაა მსოფლიოს ხელმძღვანელობა“, — თავხედურად ამბობდა იაპონიის დელეგატი ერთა ლიგაში 1932 წელს. ცდილობდნენ რა განეხორციელებინათ ეს ბოდვითი იდეები, იაპონელი სამურაები მრავალი წლის მანძილზე ტურის ხროხავით მოძვრებოდნენ ჩვენი სამშობლოს საზღვრებისაკენ. დაიპყრეს რა მანჯურია, იაპონელი იმპერიალისტები ამზადებდნენ პლაცდარმს საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის. საბჭოთა ადამიანებს ახსოვთ იაპონელ დამპყრობთა ავაზაკური თავდასხმები ჩვენი სამშობლოს წმიდათა-წმიდა ზღუდეებზე ხასანის ტბასთან და საბჭოთა კავშირის მეგობარ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაზე.

მაშინ ჩვენმა სახელოვანმა წითელმა არმიამ გამანადგურებელი დარტყმები მიაყენა გათავხედებულ იაპონელ იმპერიალისტებს. საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობა შენარჩუნებულ იქნა მხოლოდ გენიალური სტალინური პოლიტიკის შედეგად, სტალინურ ხუთწლედთა ძლევამოსილი დამთავრების შედეგად, საბჭოთა შეიარაღებული ძალების განმტკიცებისათვის ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის შედეგად.

იაპონელმა იმპერიალისტებმა გერმანელ ფაშისტებთან დადეს ყბადაღებული „ანტიკომინტერნული პაქტი“ და განზრახული ჰქონდათ იარაღით დაემყარებინათ თავიანთი ბატონობა მსოფლიოში. ჰიტლერელები და იაპონელი იმპერიალისტები არ ერიდებოდნენ ადამიანთა მასობრივი მოსპობის ყველაზე მხეცურ საშუალებათა გამოყენებას. კაცობრიობამ იცის, თუ რას უქადდა მას ჰიტლერელი და იაპონელი ბარბაროსების მსოფლიო ბატონობის დამყარება. დასავლეთში ფაშისტმა დამმონებლებმა სიცოცხლე მოუსპეს მილიონობით ადამიანს. ბოლავდნენ მაიდანეკისა და ოსვენციმის საშინელი ღუმელები, იტანჯებოდნენ ხალხები ჰიტლერული მონობის ბორკილებში. ხოლო ამავე დროს აღმოსავლეთში, იაპონიის მმართველი ზედაფენის პირდაპირი მითითებით, უკვე გააჩაღეს თავიანთი დანაშაულებრივი მუშაობა სიკვდილის ბაქტერიოლოგიურმა ფაბრიკებმა.

კვანტუნის არმიის სარდლობამ შექმნა მთელი რიგი საიდუმლო ბაქტერიოლოგიური შენაერთები, რომელთა მუშაობას სათავეში ჩაუდგა ბაქტერიოლოგიური ომის იაპონიაში ცნობილი თავგამოდებული მქადაგებელი, გენერალ-ლეიტენანტი იშიი. სპეციალურ რაზმებში ტონობით ამზადებდნენ შავი ჭირის, ხოლერის, ციმბირის წყლულის ბაქტერიებს, იგონებდნენ ბაქტერიოლოგიური იარაღის სულ სხვადასხვანაირ გამოყენებას, მუცლის ტიფის ბაქტერიებიანი პურით დაწყებული და ბაქტერიოლოგიური საარტილერიო ყუმბარებით დამთავრებული.

ავაზაკები ამ მომაკვდინებელ იარაღს ათასობით ადამიანზე ამოწმებდნენ. № 731 რაზმის ჯურღმულებში ყოველწლიურად იგზავნებოდა ექვსასამდე ადამიანი და არც ერთი მათგანი ცოცხალი არ გადარჩენილა. ადამიანებს ბაცილებს აძლევდნენ საჭმელში, მათზე ახდენდნენ ავაზაკურ „ცდებს“ „საბრძოლო ვითარებაში“, ერეკებოდნენ მათ ბაქტერიოლოგიური ბომბების ქვეშ, უზრობდნენ ხელ-ფეხს, ახრჩობდნენ ბაროკამერებში. „პროფესორის“ წოდების მქონე ბანდიტები კინოაპარატზე იღებდნენ ადამიანთა წამების საშინელ სურათებს.

ასეთი გზით იაპონელმა ურჯუკებმა მოსპეს ჩინეთის, სსრ კავშირის, მონღოლეთისა და სხვა ქვეყნების მრავალი ათასი მოქალაქე.

იაპონელ სამურაებს არაერთხელ გამოუყენებიათ ბაქტერიოლოგიური იარაღი თავიანთ სამხედრო ავანტიურაში. ასე მოხდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაზე იაპონელი მილიტარისტების თავდასხმის დროს 1939 წელს. ასე მოხდა 1940-1942 წლებში ჩინეთში, სადაც იაპონელ დამპყრობთა ბაქტერიოლოგიურმა ექსპედიციებმა ეპიდემიების გაჩენა გამოიწვიეს. იაპონელი იმპერიალისტების მიერ მონღოლეთსა და ჩინეთში ამ საშინელი იარაღის გამოყენება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბაქტერიოლოგიური ომისათვის მზადება იყო. სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის სპეციალურად შემუშავებული გეგმა ითვალისწინებდა ბაქტერიოლოგიური იარაღის ფართო გამოყენებას. ასრულებდნენ რა ამ გეგმას, იაპონელი სამურაები ზვერავდნენ სსრ კავშირის მოსაზღვრე რაიონებს, აწყობდნენ დივერსიულ გამოხდომებს, წამლავდნენ რა წყალსატევებს საბჭოთა ტერიტორიაზე.

საბჭოთა კავშირმა, გაანადგურა რა ჰიტლერელთა ურდოები, იხსნა კაცობრიობა იმ ბაქტერიოლოგიური ომის საშინელებისაგან, რომელსაც ჰიტლერელები ამზადებდნენ. გერმანელ ფაშისტთა არმიის განადგურების შემდეგ იაპონელებმა გამალებული მზადება გააჩაღეს ბაქტერიოლოგიური ომისათვის. არა მარტო საბჭოთა ხალხს, არამედ ჩინეთის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და სხვა ქვეყნების ხალხებსაც კვლავ დაემუქრა საშინელი საფრთხე.

იაპონელი ბარბაროსების ვერაგული ზრახვები ჩაშალა საბჭოთა არმიის სწრაფმა შეტევამ, რომელმაც გაანადგურა იაპონიის იმპერიალიზმის ძირითადი დამრტყმელი ძალა — კვანტუნის არმია—და რომელმაც მოსპო სამურაების გველური ბუდე მანჯურიაში. მსოფლიო ბატონობის დამყარების იაპონური გეგმები ჩაიფუშა, იაპონიამ კაპიტულაცია მოახდინა.

გმირმა საბჭოთა არმიამ გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით დაამსხვრია გერმანია-იაპონიის სამხედრო მანქანა, ჩაშალა კაციჭამიათა გეგმები, დაღუპვისაგან იხსნა ადამიანთა ცივილიზაცია. საბჭოთა ხალხის უკვდავი გმირობა ნაკარნახევი იყო მშვიდობისმოყვარე პოლიტიკით, რომელსაც განუხრელად ახორციელებდა და ახორციელებს საბჭოთა კავშირი.

სოციალიზმის ქვეყნისადმი სიძულვილით დაბრმავებული იმპერიალისტი ომის გამჩაღებელნი ილაშქრებენ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკის წინააღმდეგ და მფარველობას უწევენ იაპონელ სამხედრო დამნაშავეებს. მსოფლიო ბატონობის ახალი პრეტენდენტები შემთხვევით როდი გამოვიდნენ იმ იაპონელი მტარვალების საზიზღარი ბანდის დამცველებად და მფარველებად, რომელთაც ბრალი მიუძღვით საშინელ დანაშაულობაში კაცობრიობის წინაშე.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ მთავარ იაპონელ სამხედრო დამნაშავეთა ტოკიოს პროცესზე საბჭოთა ბრალდებამ წარადგინა მასალები, რომლებიც საკმარისი სისრულით ცხადყოფდნენ იაპონიის სამხედრო ხროვის დანაშაულებებს. ეს ხროვა ავაზაკურ ცდებს ახდენდა ადამიანებზე ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოცდის დროს. მაგრამ ეს მასალები არ გამოუყენებიათ საჭირო კვლევაძიების მოსახდენად, რადგან ამით დაინტერესებული იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეები, რომლებიც ამჟამად იაპონიას აქცევენ ამერიკის იმპერიალიზმის პლაცდარმად შორეულ აღმოსავლეთში. იაპონიაში ამერიკელთა საოკუპაციო ჯარების შტაბმა გადაწყვიტა დაფაროს იაპონელი ბარბაროსების დანაშაულებანი და სავსებით გაამართლა ბაქტერიოლოგიური ომის მომზადების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი — გენერალი იშიი.

ამერიკის რეაქციული წრეები ცდილობენ დუმილით აუარონ გვერდი ხაბაროვსკის სასამართლო პროცესს. მათ ესმით, რომ გუშინდელი იაპონელი დამნაშავეების გასამართლება მათი დღევანდელი მიმდევრების გასამართლებაა.

იაპონელ ჯალათთა დანაშაულებრივი ხროვის პროცესმა ყველა ქვეყნის პროგრესული საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. ეს პროცესი ხელს უწყობს მშვიდობისათვის საბრძოლველად, ომის გამჩაღებელთა გეგმების წინააღმდეგ საბრძოლველად მთელი მსოფლიოს დემოკრატიული ძალების შემდგომი მობილიზაციის საქმეს.

მსოფლიო ბატონობის იმ ახალი პრეტენდენტების დანაშაულებრივი ზრახვები, რომლებიც ჰიტლერელებისა და იაპონელი იმპერიალისტების გზას მიჰყვებიან, განწირულია ჩასაფუშავად. მშვიდობისა და უშიშროების საგუშაგოზე დგას მილიონობით უბრალო ადამიანი, დგას დემოკრატიული ძალების ძლიერი ფრონტი, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს. ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი, იწონებს რა იაპონელი სამხედრო დამნაშავეებისათვის გამოტანილ განაჩენს, აძლიერებს სიფხიზლეს, უფრო მჭიდროდ რაზმავს თავის რიგებს ომის იმპერიალისტი გამჩაღებლების წინააღმდეგ ბრძოლაში. მშვიდობის დაცვის საქმე მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის მილიონობით მებრძოლთა საიმედო ხელშია.

„პრავდის“ 2/I მოწინავე.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე და მეხუთე ტომი უზბეკურ ენაზე

ტაშკენტი, 2 იანვარი. (საკდესი). უზბეკეთის სახელმწიფო გამომცემლობამ უზბეკურ ენაზე გამოსცა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე და მეხუთე ტომი. რუსული გამოცემიდან თარგმანი შეასრულა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის უზბეკეთის ფილიალმა.

ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება

ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება და წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარეს 201 ტონა თამბაქო.

მოსკოვში გაიხსნა მეტროპოლიტენის ახალი ხაზი

31 დეკემბერს შედგა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა მეტროპოლიტენის მეოთხე რიგის პირველი უბნის — კურსკის ვაგზალ—ყირიმის მოედნის უბნის ამუშავებას.

„კურსკაია-კოლცევაიას“ სადგურის თეთრი მარმარილოს დარბაზში შეიკრიბნენ ახალი მიწისქვეშა მაგისტრალის მშენებლები, საექსპლოატაციო დარგის მუშაკები, მოსკოვის საწარმოთა სტახანოველები, დედაქალაქის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

პრეზიდიუმში არიან საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის გზათა მინისტრი ამხ. ბ. პ. ბეშჩევი, მეტრომშენისა და მეტროპოლიტენის ხელმძღვანელები, სტახანოველები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მეტროს მშენებლობაზე, და სხვები.

მიტინგი გახსნა საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პარტორგმა მეტრომშენზე ამხ. ა. პ. ნიკიტინმა, რომელმაც წაიკითხა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება მეტროს მეოთხე რიგის პირველ უბანზე მოძრაობის დაწყების შესახებ. შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ამ ცნობას და დღეგრძელობა უსურვეს ამხანაგ ი. ბ. სტალინს.

გამოდის მეტრომშენის უფროსი ამხ. მ. ა. სამოდუროვი. იგი ლაპარაკობს მეტროპოლიტენის ახალი ხაზის მშენებლობაზე, რომელიც ამხანაგ ი. ბ. სტალინის ინიციატივით დაიწყო ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის წლებში.

— ამ საზეიმო დღეს,—ამბობს იგი,— ჩვენი თვალი მიპყრობილია მშრომელთა დიდი ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი. მას ვუძღვნით ჩვენს მეტრომშენულ მგზნებარე სალამს!

ტრიბუნაზეა მთხრელი ამხ. კრავცოვი. აქ,—ამბობს იგი,—სადაც ახლა ნათელი დარბაზებია, ჩვენს ბრიგადას გვირაბები გაჰყავდა. მშენებლობა ძნელ პირობებში მიმდინარეობდა. მაგრამ მეტრომშენებელნი ვერაფერმა შეაჩერა. მთხრელებმა ვიცოდით, რომ დიდი სტალინის დავალებას ვასრულებდით. ეს აღგვაფრთოვანებდა შრომითი გმირობისათვის. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი წილი შრომა შევიტანეთ ამ შესანიშნავ ნაგებობაში.

შემდეგ გამოვიდნენ სადგურ „კურსკაიას“ მშენებლობის უფროსი ამხ. პ. ს. სმეტანკინი, სადგურ „კურსკაიას“ პროექტის ავტორი არქიტექტორი გ. ა. ზახაროვი, საკავშირო ალკკ მოსკოვის კომიტეტის მდივანი ნ. ტ. სიზოვი და სხვები. მათ აღნიშნეს, რომ მოსკოვის მეტროპოლიტენის ახალი ხაზი ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ყურადღებასა და ზრუნვას, რასაც მშრომელთა საჭიროებისათვის იჩენენ პარტია, მთავრობა და პირადად ამხანაგი სტალინი.

დამსწრენი გულთბილად ხვდებიან საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის მდივნის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის ტრიბუნაზე გამოჩენას. მან მიულოცა მეტრომშენებლებს მეტროს „დიდი რკალის“ პირველი უბნის მშენებლობის დამთავრება და შემდგომი წარმატება უსურვა მათ.

შეკრებილებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

მიტინგის შემდეგ ჭრიან წითელ ლენტს, და გვირაბში შედის პირველი მატარებელი.

1 იანვარს დაიწყო მატარებლების რეგულარული მოძრაობა მეტროს ახალ ტრასზე. (საკდესი).

საკდესის კორესპონდენტის ინტერვიუ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნ მაო ძე-დუნთან

კორესპონდენტის კითხვა: როგორია საქმის ვითარება ამჟამად ჩინეთში?

პასუხი: საომარი საქმეები ჩინეთში კარგად მიდის. ამჟამად კომუნისტური პარტია და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობა მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობის რელსებზე გადადიან.

კითხვა: დიდი ხნით ჩამობრძანდით სსრ კავშირში, ბ-ნო მაო ძე-დუნ?

პასუხი: ჩამოსული ვარ რამდენიმე კვირით. სსრ კავშირში ჩემი ყოფნის დრო ნაწილობრივ დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ვადებში მოხერხდება იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას აინტერესებს.

კითხვა: შეიძლება შევიტყოთ, რა საკითხები გაქვთ მხედველობაში?

პასუხი: ეს საკითხებია, უწინარეს ყოვლისა, ისეთი საკითხები, როგორიცაა ჩინეთსა და სსრ კავშირს შორის მეგობრობისა და კავშირის არსებული ხელშეკრულება, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის საბჭოთა კრედიტის საკითხი, ჩვენს ქვეყნებს შორის ვაჭრობისა და სავაჭრო შეთანხმების საკითხი და სხვები.

გარდა ამისა, განზრახული მაქვს მოვიარო საბჭოთა კავშირის რამდენიმე რაიონი და ქალაქი, რათა უფრო ახლო გავიცნო საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო და კულტურული მშენებლობა.

საკავშირო პროფსაბჭოში

უხვი მოსავლისათვის — საკავშირო პროფსაბჭოს წითელი დროშები

პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან არსებულმა მუშა-მოსამსახურეთა მებოსტნეობისა და მეცხოველეობისათვის ხელშემწყობმა კომიტეტმა განიხილა 1949 წელს ინდივიდუალური და კოლექტიური მებოსტნეობის შედეგები. პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები მიეკუთვნათ გემთმშენებელი მრეწველობის, საფეიქრო მრეწველობის, რკინიგზის ტრანსპორტის, მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის მუშათა პროფესიული კავშირების ცენტრალურ კომიტეტებს.

საპატიო სიგელები მიეკუთვნა პროფკავშირთა 12 ცენტრალურ კომიტეტს, მათ შორის ტყავეულის და ფეხსაცმლის მრეწველობისა და მეტალურგიული მრეწველობის მუშათა, მედიცინის მუშაკთა, სამთამადნო მრეწველობის მუშათა, საფინანსო-საბანკო მუშაკების პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებს.

გარდა ამისა, მუშა-მოსამსახურეთა ბოსტნებში უხვი მოსავლის მოყვანისათვის პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები მიეკუთვნათ როდნიკოვის კომბინატ „ბოლშევიკის“, ჟდანოვის სახელობის ქარხანა „კრასნოე სორმოვოს“, ჩუსოვაიას მეტალურგიული ქარხნისა და სხვების პროფკავშირულ ორგანიზაციებს. (საკდესი).

ახალი სამეურნეო წლის პირველი დღე თბილისის საწარმოებში

მანქანათმშენებლებთან

2 იანვარი.—ახალი, 1950 სამეურნეო წლის პირველი სამუშაო დღე—მაღალნაყოფიერი იყო 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში. სამჭედლო საამქროში (უფროსი ბ. გრიგორიევი) ამ დღეს შეუდგნენ იანვრის მეორე დეკადისათვის სხვა საამქროებში გადასამუშავებელი დეტალების გამოჭედვას. საინსტრუმენტო საამქროში (უფროსი ინჟინერი გ. სეფერთელაძე) განაგრძობდნენ ახალი საქსოვი მანქანების სერიული გამოშვებისათვის საჭირო ტექნოლოგიური სამარჯვების კეთებას, რასაც უშუალოდ ხელმძღვანელობს და ტექნიკურ მეთვალყურეობას უწევს ინჟინერი ვ. კაპატაძე. საამქროს კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს ეს სამუშაო იანვრის პირველ დეკადაში დაამთავროს.

დილას საამქროებში მუშაობის დაწყებისთანავე ქარხნის დირექტორთან გაიმართა საამქროთა ხელმძღვანელებისა და წარმოების მეთაურ ინჟინერ-ტექნიკოსთა თათბირი, სადაც განხილულ იქნა ქარხნის კოლექტივის საწარმოო ამოცანები მიმდინარე წელს და დასახულ იქნა საორგანიზაციო-ტექნიკური ხასიათის ღონისძიებანი ამ ამოცანათა შესრულების უზრუნველსაყოფად.

ზრდიან დაზგების გამოშვებას

თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა 1950 წლის დასაწყისისათვის სამშობლოს გეგმის გადამეტებით დაუმზადა ათობით დიდი წარმადობის დაზგა. მარტო შარშან აქ 24 ტიპის სხვადასხვა დაზგა დაამზადეს.

1949 წლის დეკემბერში ქარხნის კოლექტივმა იმდენი დაზგა გამოუშვა, რაც ორჯერ აღემატება წინა წელში დაზგების საშუალო თვიურ გამოშვებას.

1950 წელს ქარხნის კოლექტივს ამოცანად აქვს დასახული 30 პროცენტით გაადიდოს დაზგების გამოშვება და აითვისოს ახალი დაზგების წარმოება. ამჟამად სამუშაო პროექტებს ამზადებენ ახალი კონსტრუქციის მძლავრი მილხრახნმჭრელი, მილგადამჭრელი, ქურო - ხრახნმჭრელი და ქურო - გადამჭრელი დაზგებისა, რომლებიც საჭიროა ჩვენი მეტალურგიული, ნავთისა და ავტოსატრაქტორო მრეწველობისათვის.

ახალ სამეურნეო წელს ქარხანა მომზადებული შეხვდა. 2 იანვარს ყველა საამქროში მუშაობა დიდი აღმავლობით დაიწყო. მექანიკურ საამქროში, რომელიც შარშან ძირითადად გადაყვანილ იქნა ნაკადურ წარმოებაზე, მუშებმა შრომითი წარმატების ახალი ნიმუშები მოგვცეს. სტახანოველმა მრანდავმა მ. ჩიტიაშვილმა დღიური დავალება სამმაგად შეასრულა, მჩარხავმა შ. გიბრაძემ 16 ნაცვლად სახარატო დაზგის 40 ცალი კბილანა გაჩარხა, მწურთავმა ე. ანტონოვამ გეგმა 220 პროცენტით შეასრულა და ა. შ.

უკრაინელ კოლმეურნეთა დელეგაცია შრომის კოლმეურნეობაში

მახარაძე. (საკ. კორ.). მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის ორდენოსან კოლმეურნეობას ეწვია უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის დელეგაცია.

დელეგაციას ხელმძღვანელობდა გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი ამხ. ვასილ რადჩენკო. დელეგაციაში იყვნენ მემინდვრეობის ბრიგადის ბრიგადირი ივანე ზინჩენკო, მეღორეობის ფერმის ბრიგადირი ალექსი ვასიჩკინი, მერგოლურები ანა პოგრებნაია და ეკატერინე ტრებუშნაია, აგრეთვე რესპუბლიკური გაზეთის „რადიანსკაია უკრაინას“ რედაქციის მუშაკი ლეონიდე სუიარკოვი.

შემოწმდა ქართველ და უკრაინელ კოლმეურნეთა შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. ორივე კოლმეურნეობას 1949 წელს სერიოზული წარმატებანი აქვს მოპოვებული მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის ზრდის, სახელმწიფო დამზადებათა გეგმების შესრულების, საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში.

სოციალისტური შეჯიბრების ახალი ხელშეკრულებით უკრაინელმა კოლმეურნეებმა იკისრეს საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანონ 120 ფუთი მარცვლეული, მათ შორის 125 ფუთი საშემოდგომო ხორბალი, 95 ფუთი საგაზაფხულო ხორბალი და 150 ფუთი სიმინდი. მათი ვალდებულებაა აგრეთვე გააძლიერონ მუშაობა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების, საკოლმეურნეო კადრების მომზადების, კოლმეურნეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

დიდი ვალდებულება აიღო მეღორეობის ფერმის ბრიგადირმა ალექსი ვასიჩკინმა. 1949 წელს მან 34 დედაღორზე მიიღო 22 გოჭი საშუალოდ თვითეულზე. 1950 წელს მან იკისრა მიიღოს 24 გოჭი თვითეულ დედაღორზე.

გადიდებული ვალდებულებები იკისრეს შრომის კოლმეურნეებმაც. 1950 წელს ისინი 163 ჰექტარი ჩაის პლანტაციის თვითეული ჰექტარზე მოიყვანენ 4.500 კილოგრამ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს, სამშობლოს ჩააბარებენ 15 მილიონ ცალ ციტრუსოვანთა ნაყოფს და სხვ.

საცხოვრებელი ბინები მასწავლებლებს

ლენინგორი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში მზრუნველობით ეკიდებიან მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. კოლმეურნეები მათთვის აგებენ საცხოვრებელ სახლებს, ამარაგებენ შეშით.

უკანასკნელ ხანებში თავიანთი სოფლის მასწავლებლებს ახალი საცხოვრებელი სახლი აუშენეს ჩაყორელმა კოლმეურნეებმა. მასწავლებლებისათვის ახალი სახლები აშენდა აგრეთვე კორინთისა და ლარგვისის სასოფლო საბჭოებში.

სოციალისტური შრომის გმირები

ე. ბ. ტალახაძე

ზესტაფონის რაიონის ხოზე დიასის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 10 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე 75,6 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

მ. ე. ჩხაიძე

მახარაძის რაიონის შრომის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.154 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

ი. ა. ალიბეგოვი

გურჯაანის რაიონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 103,3 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

ო. ვ. ბუცხრიკიძე

საქართველოს შამპანკომბინატის არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3,3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 131,8 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

მისალმებათა ნაკადი*

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან მიღებულია და კვლავ მოდის მრავალი მისალმება პარტიული, საბჭოთა და სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, საწარმოთა, კოლმეურნეობათა, დაწესებულებათა და სასწავლებელთა კოლექტივებისაგან, სამხედრო ნაწილებისაგან და ცალკეული საბჭოთა მოქალაქეებისაგან.

მრავალი მისალმება მოდის ამხანაგ სტალინის სახელზე სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან და ცალკე პირთაგან უცხო სახელმწიფოებიდან.

მისალმებანი ამხანაგ სტალინისათვის ჯანმრთელობისა და მრავალი წლის სიცოცხლის სურვილით გამოგზავნეს:

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ეროვნულმა კრებამ;

უნგრეთის პარლამენტმა;

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმმა;

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მცირე ხურალის პრეზიდიუმმა;

ალბანეთის ქალთა კავშირმა;

საბჭოთა კავშირის ბელგიელ მეგობართა ეროვნულმა კომიტეტმა;

განათლების მუშაკთა საერთაშორისო გაერთიანებამ;

პოლონეთის დედაქალაქ ვარშავის რადა ნაროდოვამ;

საფეიქრო და სამკერვალო მრეწველობის მშრომელთა პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანების ადმინისტრაციულმა კომიტეტმა;

ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირთა სამმართველო საბჭომ;

საბჭოთა ქალების ანტიფაშისტურმა კომიტეტმა;

ორეხოვოს ნიკოლაევას სახელობის ლენინის ორდენოსანი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ბამბეულის კომბინატის მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

იჟევსკის მეტალურგიული ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

სარატოვის ქარხნის „სერპ ი მოლოტის" მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

სსრ კავშირის დაზგათმშენებლობის სამინისტროს კიროვის საინსტრუმენტო ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

კემეროვოს ანილინის სალებავთა ქარხნის მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ქ. პერვომაისკის 25 ოქტომბრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

კომბინატ „კრასნოიარსკუგოლის" საწარმოთა მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ნოვოროსიისკის ცემენტის ქარხანა „პროლეტარის" მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ქ. პროკოპიევსკის სტალინის სახელობის შახტის მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა.

ბურიატ-მონღოლეთის ასსრ კიახტის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ვორონეჟის ძერჟინსკის სახელობის ორთქლმავალშემკეთებელი ქარხნის მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

ყარაგანდის ქვანახშირის აუზის მეშახტეებმა და შახტმშენებლებმა;

სსრ კავშირის მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს მუშაკებმა;

სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის სამინისტროს მუშაკებმა;

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს მუშაკებმა;

მინსკის ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ჩრდილოეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტმა, ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ;

ყაზახეთის კ. პ. (ბ) კუსტანაის საოლქო კომიტეტმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ტიუმენის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

მშრომელთა დეპუტატების ვლადიმირის საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

საკავშირო ალკკ კუიბიშევის საოლქო და საქალაქო კომიტეტებმა;

საკავშირო ალკკ ტიუმენის საოლქო კომიტეტმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) სტავროპოლის საქალაქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა;

უკრაინის კ. პ. (ბ) უჟგოროდის საოკრუგო კომიტეტმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) როსტოვის საქალაქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა;

საკავშირო ალკკ მოსკოვის საოლქო და საქალაქო კომიტეტებმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) სმოლენსკის საქალაქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა;

ვორონეჟის ოლქის ლისკის მე-17 რაიონულმა პარტკონფერენციამ;

საქართველოს კ. პ. (ბ) ბათუმის საქალაქო კომიტეტმა;

უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და უკრაინის ალკკ ცენტრალური კომიტეტის აპარატის მუშაკებმა;

სსრ კავშირის ელექტრომრეწველობის სამინისტროს მუშაკებმა;

სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს მუშაკებმა;

მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა;

უკრაინის კ. პ. (ბ) იმიერკარპატის ოლქის ტიაჩევის საოკრუგო კომიტეტის მე-8 პლენუმმა;

უკრაინის სსრ პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა;

შრომის წითელი დროშის ორდენოსან ვოროშილოვის სახელობის მეტალურგიული ქარხნის VII საერთო საქარხნო პარტკონფერენციამ;

ფერადი მეტალურგიის მუშათა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა;

ბაშკირეთის ასსრ ჩერნიკოვოს VI საქალაქო პარტკონფერენციამ;

საკავშირო ალკკ ბურიატ-მონღოლეთის საოლქო კომიტეტმა;

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა, მოსამსახურეებმა და მუშებმა;

რსფსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პ. ა. გერცენის სახელობის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ონკოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომელთა კოლექტივმა;

ესტონეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიამ;

სსრ კავშირის ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა;

სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის აკადემიის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ, მსმენელებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

მოსკოვის ბაუმანის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის პროფესორთა, მასწავლებელთა, სტუდენტთა, მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" რედაქციის მუშაკთა კოლექტივმა;

ქ. ვორონეჟის ხელოვნების დაწესებულებათა მუშაკებმა და მწერლებმა;

სსრ კავშირის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მუსიკოსთა კოლექტივმა, ქ. მოსკოვი;

გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან სსრ კავშირისა და უკრაინის სსრ წარმომადგენლობათა და ნიუ-იორკში საკუდესის განყოფილების თანამშრომლებმა;

ბელორუსიის სსრ ბობრუისკის ოლქის კლიჩევის რაიონის მასწავლებელთა რაიონულმა კრებამ;

სემიპალატინსკის ნ. კ. კრუპსკაიას სახელობის პედაგოგიური და სამასწავლებლო ინსტიტუტის სტუდენტთა, პროფესორთა და მასწავლებელთა, მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

კუიბიშევის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

ალტაის მხარის რებრიხის რაიონის მასწავლებელთა საერთო კრებამ;

„ლიტერატურნაია გაზეტას" რედაქციის მუშაკთა კოლექტივმა;

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მუშაკებმა;

მექსიკაში საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებმა;

ბურიატ-მონღოლეთის ასსრ ბიჩურის აიმაკის მე-10 რაიონული კომკავშირული კონფერენციის დელეგატებმა;

ტამბოვის ოლქის ტუგოლუკოვოს რაიონის ალექსეევოს სასოფლო საბჭოს, სასოფლო-სამეურნეო არტელის „ხუთწლედი 4 წელიწადში" კოლმეურნეებმა;

ალტაის მხარის კოსიახინსკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ტრაქტორისტთა, კომბაინერთა, მექანიკოსთა და მუშათა კოლექტივმა;

სარატოვის ოლქის ეკატერინოვკის რაიონის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობა „ინდუსტრიალნის" მუშებმა, მოსამსახურეებმა და სპეციალისტებმა;

კემეროვოს ოლქის პრომიშლენაიას რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „ახალი გზის" კოლმეურნეთა კრებამ;

ხარკოვის ოლქის ლიპცის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კომბაინერებმა, ტრაქტორისტებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

ყირგიზეთის სსრ ისიკ-კულის ოლქის ჯეტი-ოგუზის რაიონის შევჩენკოს სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეთა კრებამ;

ხანტი-მანსის ეროვნული ოლქის სურგუტის რაიონის სოფელ ტუნდრინოს სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებმა;

კურგანის ოლქის შადრინსკის რაიონის მალცევსკის სასოფლო საბჭოს სასოფლო-სამეურნეო არტელ „ლენინის ანდერძის" კოლმეურნეებმა;

კუიბიშევის ოლქის კრასნოიარსკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ტრაქტორისტებმა, კომბაინერებმა, მექანიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

ამურის ოლქის კაგანოვიჩის რაიონის პარტიზანის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშებმა და მოსამსახურეებმა, ტრაქტორისტებმა და კომბაინერებმა;

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და სამიწათმოქმედო ორგანოების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა;

იჟევსკის ლენინის ორდენოსანი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მანქანათმშენებელი ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ქ. ზაპოროჟიეს ქარხანა „ინტერნაციონალის" მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

კლაიპედის სანავსადგურო მოწყობილობის ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

სიუგინსკის ქარხანა „სინათლის" სტახანოველებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ალექსეევოს გოგირდის ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

კარელია-ფინეთის სსრ პუდოჟის ხეტყის ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

მოსკოვ-რიაზანის რკინიგზის მორშანსკის დეპოს მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა;

ტაშკენტ-ანგრენის რკინიგზის ხაზის მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

დროგობიჩის ოლქის ქ. სტრიის ქარხანა „მეტალისტის" მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

სსრ კავშირის მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს კიევის პოლიგრაფიული ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ქ. ბაქოს მანქანათმშენებელი ქარხნის „ბაკინსკი რაბოჩის" მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

მინსკის ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

კრასნოგორსკის ოპტიკურ-მექანიკური ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ვ. მ. მოლოტოვის სახელობის სტამბის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ქარხნის „მოსკაბელის" მუშებმა, მოსამსახურეებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა;

თბომავალ „კაპიტან გასტელოს" ეკიპაჟმა;

სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს მუშაკებმა;

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს მუშაკებმა;

სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს მუშაკებმა;

დოროგომილოვოს მ. ვ. ფრუნზეს სახელობის ქიმიური ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ლენინგრადის ზარაფხანის მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ბარანოვკის ლენინის სახელობის ფაიფურის ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

„კურსკტრიოს" ტრესტის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ტამბოვის ელექტრო-მანქანათმშენებელი ქარხნის „რევოლუციონი ტრუდის" მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

უფის ბამბეულის კომბინატის მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კოლექტივმა;

სსრ კავშირის დაზგათმშენებლობის სამინისტროს ქ. ტაგანროგის ქარხანა „ვპერიოდის" სტახანოველებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ლენინგრადის საიზოლატორო ქარხნის „პროლეტარის" მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ქ. დონის როსტოვის ქარხანა „ვოზროჟდენიეს" მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ჩრდილოეთ-კავკასიის რკინიგზის სტავროპოლის განყოფილების მუშებმა, ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა;

არგენტინაში არსებული საბჭოთა კოლონიის წევრებმა;

ანკარაში არსებული საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომლებმა;

ჩეხოსლოვაკიაში აკრედიტებული საბჭოთა საელჩოს მუშაკთა კოლექტივმა;

ბაშკირეთის ასსრ მაკაროვსკის რაიონის რაიონული პარტკონფერენციის დელეგატებმა;

კუიბიშევის ოლქის პესტრავკის რაიონის მოსტოვსკის დაწყებითი სკოლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა;

ქ. ბოდაიბოს I საბჭოთა სკოლის პიონერთა რაზმის შეკრებამ;

საკავშირო ალკკ ყაბარდოს საოლქო კომიტეტმა;

ლომონოსოვის რაიონის კომკავშირელებმა, პიონერებმა და ახალგაზრდობამ, ქ. არხანგელსკი;

პენზის ოლქის ვადინსკის რაიონის რახმანოვის შვიდწლიანი სკოლის კომკავშირელებმა, პიონერებმა და მოსწავლეებმა;

კომის ასს რესპუბლიკის ინტის საშუალო სკოლის კაპიტან გასტელოს სახელობის რაზმის პიონერებმა;

ინვალიდთა სამხარეო კოოპერაციული კავშირის არტელ „ხიმტრუდში" გაერთიანებულმა სამამულო ომის ინვალიდებმა და შრომის ინვალიდებმა, ქ. კრასნოიარსკი;

სსრ კავშირის ცენტროსოიუზის გამგეობამ;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მინდორსაცავი ტყის გაშენების მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა;

ბურიატ-მონღოლეთის ასს რესპუბლიკის ტარბაგატაის რაიონის ბოლშაია კუნალეიკის მტს-ის ტრაქტორისტთა, კომბაინერთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

მარცვლეულის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და რსფსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაკებმა;

ლატვიის სსრ დაუგავპილსის მაზრის ლიკსნის თემის ვოროშილოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებმა;

კურგანის ოლქის ჩასტოოზერსკოეს რაიონის სოფელ ლიხანოვოს კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ;

ალტაის მხარის შიპუნოვოს რაიონის მოლოტოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებმა;

ნოვოსიბირსკის ოლქის ანდრეევკის მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

პინსკის ოლქის ლუნინეცის რაიონის ბოსტინის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „ლენინის გზის" კოლმეურნეებმა;

ტალდი-კურგანის ოლქის კარატალის რაიონის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებმა;

სტალინგრადის ოლქის ელანის რაიონის მორეცის მტს-ის მუშათა, მოსამსახურეთა, ტრაქტორისტთა და კომბაინერთა კოლექტივმა;

სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს მუშაკებმა;

კირო კონაროვის სახელობის სახელმწიფო ფაბრიკის მუშაკებმა, სადგური გორნა ორიახოვიცა, ბულგარეთი;

ობუდის (უნგრეთი) ბამბეულის მრეწველობის კომბინატის მშრომელებმა;

სლანის სართავი ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა, ჩეხოსლოვაკია;

თბოელექტროცენტრალ „ნადეჟდის" საწარმოებისა და გ. დიმიტროვის სახელობის საფეიქრო ფაბრიკის მუშებმა, მოსამსახურეებმა, ადმინისტრაციულმა და საინჟინრო-ტექნიკურმა პერსონალმა, ბულგარეთი;

ბეწვეულის ფაბრიკა „პირველი მაისის" მუშა ახალგაზრდობამ, ქალაქი ორადია, რუმინეთი;

სახელმწიფო სავაჭრო საწარმოებისა და მაღაზიების ეროვნულმა კონფერენციამ, ბულგარეთი;

ორლის შორენკეცის ფაბრიკის მუშაკებმა, პოლონეთი;

პოლონეთის რკინიგზელთა პროფკავშირმა, ქ. პშევორსკი, პოლონეთი;

ბიდგოშჩის აგურის ქარხნის მუშათა კოლექტივმა, პოლონეთი;

კონსტანცის მაზრის სამთამადნო საწარმოთა მუშებმა, ტექნიკურმა პერსონალმა და ადმინისტრაციულმა მოსამსახურეებმა, რუმინეთი;

დეჩინის ილოვის ქაღალდის ქარხნების მუშა-მოსამსახურეებმა, ჩეხოსლოვაკია;

ქალაქ ბელსკოს სელის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოთა მუშებმა, პოლონეთი;

ქალაქ კატოვიცის შუშის ქარხნის კოლექტივმა, პოლონეთი;

ქალაქ მოსტის სტალინის სახელობის ქარხნის მუშებმა, ჩეხოსლოვაკია;

15.000 მეტყევის წარმომადგენელი კრების მონაწილეებმა, ქ. ვარშავა;

სოფელ შიუკეშდის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრებმა, უნგრეთი;

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრებმა, ქ. ბანრკლია სტავნიცა, ჩეხოსლოვაკია;

ჩეხოსლოვაკიის სამანქანო სადგურების სახელმწიფო სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა, ქ. პრაღა;

გერტნიკის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრებმა, ქ. ბორდეევი, ჩეხოსლოვაკია;

შრომითი კოოპერაციული სასოფლო მეურნეობების ბრიგადირებმა, ბულგარეთი;

ქალაქ ფერარის შრომის პალატაში გაერთიანებულ პროფკავშირთა 180.000 წევრმა, იტალია;

ბუნის ქიმიური ქარხნების 17.500 მშრომელმა, გერმანია;

მირაფიორის ფიატის ქარხნის მუშებმა, ტურინი, იტალია;

გელცაუს კომბინატის მშრომელებმა, გერმანია;

სიმენს-შუკერტის I ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა, ვენა, ავსტრია;

ილვა-ბანიოლის ქარხნის მშრომელებმა, ნეაპოლი, იტალია;

ქალაქ ფორსტლაუზიტცის პოლიგრაფისტებმა, გერმანია;

მანქანათმშენებელთა გაერთიანებული პროფკავშირის უელჰოლის განყოფილებამ, ლონდონი;

ქალაქ ბოლენის კერამიკულ საწარმოთა მუშებმა, საფრანგეთი;

ნეიზიდლმზეეს მილსაგლინავი ქარხნის პროფკავშირმა, გერმანია;

ლონდონის მანქანათმშენებელთა ჩრდილოეთ ვულვიჩის გაერთიანებული კავშირის წევრებმა;

ალუმინის შენადნობთა ვენის ქარხნის „ვიენ ლიზინგის" მუშათა კოლექტივმა, ავსტრია;

როზენტალის ცელულოზ-ქაღალდის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა, გერმანია;

საწარმო „ავსტროფიატის" მუშა-მოსამსახურეებმა, ვენა, ავსტრია;

ბად ტენშტედტის ქაღალდის ფაბრიკის კოლექტივმა, გერმანია;

ენერგიის განაწილების მთავარი სამმართველოს კოლექტივის 577 წევრმა, ხემნიცი, გერმანია;

კოტბუსის სახალხო საწარმოთა გაერთიანების სატექსტილო-სართავი საწარმოს 16 ათასმა მშრომელმა, გერმანია.

(გაგრძელება იქნება)

---

*) გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი" № 256, № 257.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

1949 წლის 31 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ა. ა. გრომიკომ მიიღო ფინეთის რესპუბლიკის დესპანი ბ-ნი კ. სუნდსტრემი და განუცხადა მას, რომ საბჭოთა ხელისუფალთ მოეპოვებათ სარწმუნო ცნობები, რომელთა მიხედვითაც ფინეთის ტერიტორიაზე დღემდე იმყოფება 300-ზე მეტი სამხედრო დამნაშავე საბჭოთა მოქალაქეთაგან, რაც ეწინააღმდეგება საზავო ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც ფინეთის მთავრობამ ვალდებულება იკისრა მიეღო ყველა საჭირო ზომა იმისათვის, რომ უზრუნველეყო ფინეთის ტერიტორიაზე მყოფი ყველა საბჭოთა მოქალაქის გადმოცემა გასასამართლებლად იმისათვის, რომ მათ დაარღვიეს სსრ კავშირის კანონები ღალატით ან ომის დროს მტერთან თანამშრომლობით. ამ რიცხვშია აგრეთვე 56 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი სამხედრო დამნაშავეებისა, რომლებმაც ჩაიდინეს ყველაზე მძიმე დანაშაულობანი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეს პირნი ცნობილი არიან ფინეთის მთავრობისათვის. ამგვარად, ამ პირთა სია დამატებით გადაეცა ფინეთის მთავრობას.

საბჭოთა ხელისუფლებს მოეპოვებათ აგრეთვე ცნობები, რომ ზოგიერთ აღნიშნულ დამნაშავეს ფინეთის ხელისუფალნი აძლევენ ყალბ დოკუმენტებს მოგონილი გვარებით, რაც ხელს უწყობს დამნაშავეებს დაიმალონ და განაგრძონ საბჭოთა კავშირისადმი მტრული საქმიანობა.

საბჭოთა მთავრობას სურს იცოდეს, თუ რატომ დღემდე არ გადმოსცემს ფინეთის მთავრობა აღნიშნულ სამხედრო დამნაშავეებს საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებაში, რითაც არღვევს საზავო ხელშეკრულებას და საბჭოთა კავშირ-ფინეთის 1948 წლის აპრილის ხელშეკრულებას მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ, რომლის თანახმადაც ფინეთის მთავრობამ დაადასტურა, რომ მზად არის იმოქმედოს თანამშრომლობისა და მეგობრობის სულისკვეთებით. (საკდესი).

სანიმუშოდ ჩავატაროთ პირუტყვის აღწერა

მეცხოველეობის სახელმწიფო გეგმის შესრულების შემოწმებისა და პირუტყვის სულადობის შესახებ ზუსტი ცნობების მიღების მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით უნდა მოხდეს პირუტყვის სრულიად საკავშირო აღწერა 1950 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით.

პირუტყვის აღწერა დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ღონისძიებას წარმოადგენს. დაადგენს რა პირუტყვის სულადობის საერთო რაოდენობას, აღწერის ამოცანას შეადგენს ახალი მეცხოველეობის სახელმწიფო გეგმის შესრულების სწორი სურათი მიმდინარე წლის დასაწყისისათვის. აღწერის მასალები საფუძვლად დაედება მთავრობის ღონისძიებებს მესაქონლეობის—სოფლის მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის — შემდგომი აღმავლობისათვის.

საქართველოში პირუტყვის აღწერას ხელმძღვანელობს რესპუბლიკური სტატისტიკური სამმართველო და მისი ადგილობრივი ორგანოები. აღწერაში მონაწილეობას იღებს 4 ათასამდე აღმრიცხველი, უფროსი აღმრიცხველი და საკონტროლო ბრიგადის წევრი. გარდა ამისა, აღწერაში მონაწილეობას მიიღებს სოფლის აქტივი—ხელისშემწყობი კომისიების წევრები.

თანახმად საორგანიზაციო გეგმისა პირუტყვის აღწერა გაგრძელდება რვა დღეს—1-დან 8 იანვრამდე. აღმრიცხველთა ამოცანას შეადგენს ყველა ზომა მიიღონ იმისათვის, რომ უზრუნველყონ პირუტყვის ზუსტი აღრიცხვა, არ გამორჩეთ არც ერთი სული პირუტყვი.

აღწერის შედეგების სისრულის უზრუნველსაყოფად აღმრიცხველს ევალება აღწერის შედეგები გააცნოს სოფლის აქტივის კრებას. თუ აქტივის კრებაზე გამოვლინდება პირუტყვის აღურიცხველობის ან არაზუსტი აღრიცხვის შემთხვევები, აღმრიცხველი ვალდებულია მივიდეს ადგილზე და უზრუნველყოს გამორჩენილი პირუტყვის აღრიცხვა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ აღურიცხავი არ დარჩეს გამოკვებვის მიზნით სხვისთვის მიბარებული პირუტყვი. საჭიროა ყურადღება მიექცეს აგრეთვე იმას, რომ აღრიცხვიდან არ გამორჩეს ისეთი პირუტყვი, რომელიც მეურნეობაში იყო პირველ იანვარს, მაგრამ შემდეგ მოაკლდა მეურნეობას (დაიკლა, გაიყიდა, ჩაბარდა სახელმწიფოს და სხვა).

აღწერის დამთავრების შემდეგ აღმრიცხველი ვალდებულია მასალები ჩააბაროს უფროს აღმრიცხველს. უფროს აღმრიცხველს ევალება მასალები უშუალოდ ჩაბარდა აგრეთვე კოლმეურნეობისაგან საზოგადოებრივი მეცხოველეობის შესახებ, შემოწმოს ცნობები ინვენტარიზაციის მონაცემებთან შედარებისა და პირუტყვის გადათვლის საშუალებით, რის შემდეგ შედგენილ უნდა იქნას ნაერთი სასოფლო საბჭოს მიხედვით და მთელი მასალები ჩაბარდეს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რაიონის ინსპექტორს 9 იანვრისათვის.

თუ 1949 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით გამოირკვევა სულადობის მნიშვნელოვანი შემცირება, უფროსი აღმრიცხველი მოვალეა სასოფლო საბჭოს მდივანთან და თავმჯდომარესთან ერთად მოახდინოს ცნობების შედარება ცალკეულ მეკომურთა მიხედვით, დაადგინოს შემცირების მიზეზი და აღნიშნოს ეს ახსნა-განმარტებით ბარათში ან სასოფლო საბჭოს ოქმში. თუ გამოირკვევა, რომ სულადობის შემცირება გამოწვეულია აღურიცხველობის ან გადამალვის შედეგად, დაუყოვნებლივ უნდა ჩატარდეს განმეორებითი აღწერა სხვა აღმრიცხველის მიერ.

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რაიონის ინსპექტორი ვალდებულია ამომწურავად შეამოწმოს უფროსი აღმრიცხველებისაგან მიღებული მასალა, შეადგინოს რაიონის ნაერთი, მოახსენოს აღწერის შედეგები რაიონის ხელმძღვანელობას და ზუსტად დადგენილ ვადებში წარუდგინოს ეს ცნობები საქართველოს სსრ სტატისტიკურ სამმართველოს.

საქართველოს სსრ სტატისტიკურ სამმართველოში წარსადგენ მასალას აუცილებლად თან უნდა ახლდეს რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების მიერ აღწერის ჯამების განხილვის ოქმი და ახსნა-განმარტებითი ბარათი, სადაც მოცემულ უნდა იქნას ცნობების სისწორის ყოველმხრივი დასაბუთება, შედარება 1949 წლის 1 იანვრის აღწერის ცნობებთან, აგრეთვე საჭირო ღონისძიებანი რაიონში მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის.

რაიონულ ხელმძღვანელ ორგანოებში პირუტყვის აღწერის ჯამების განხილვის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ როგორ სრულდება სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება მეცხოველეობის განვითარების დარგში და რამდენად უზრუნველყოფილი არიან კოლმეურნეობები დედა-პირუტყვით.

რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანოების მიერ მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების შეფასებისას სულადობის ზრდასთან ერთად გათვალისწინებულ უნდა იქნას საგეგმო დავალებათა განაღდება დანარჩენი ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვითაც.

კვალიფიციური, გამოცდილი კადრების გამოყენებით, რაიონული პარტიული, საბჭოთა ორგანოების დახმარებითა და ხელმძღვანელობით სწორად და დროულად ჩავატაროთ პირუტყვის აღწერა.

ალ. ხაჩიძე

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„შრომის ორგანიზაციას საჭირო ყურადღება არ ექცევა"

ამ სათაურით „კომუნისტის" 22 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელიც ეხებოდა კაჭრეთის რაიონის სოფელ მელაანის კოლმეურნეობა „ლენინიზმში", კაჭრეთის მოლოტოვის, კიროვის და სოფელ კაკაბეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობებში შრომადღეების არასწორად ხარჯვას, შრომის აღრიცხვის მოუწესრიგებლობას, კოლმეურნეობის მართვის დემოკრატიული პრინციპის დარღვევას და სხვ.

საქართველოს კ. პ. (ბ) კაჭრეთის რაიკომის მდივანი ამხ. სულავა გვატყობინებს, რომ კორესპონდენციაში აღნიშნული ფაქტები მთლიანად დადასტურდა. რაიკომის ბიურომ განიხილა შემოწმების შედეგები და დამნაშავენი მკაცრად დასაჯა.

სოფელ მელაანის კოლმეურნეობა „ლენინიზმის" თავმჯდომარეს ა. სიმონიშვილს, კაჭრეთის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ბუხჰალტერს ი. ბაზერაშვილს შრომადღეების არასწორად ხარჯვისა და შრომის აღრიცხვის მოუწესრიგებლობისათვის გამოეცხადათ საყვედური. სოფელ კაკაბეთის მახარაძის, კაჭრეთის კიროვის და მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს გ. ოქრომჭედლიშვილს, ი. ლაზაშვილს, ს. სოლოღაშვილს შრომის ორგანიზაციის ცუდად დაყენებისათვის, შრომადღეების არასწორად ხარჯვისა და კოლმეურნეობის მართვის დემოკრატიული საფუძვლების დარღვევისათვის მიეცათ მითითება.

რაიკომის ბიურომ რჩევა მისცა სოფელ კაკაბეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობისა და მელაანის კოლმეურნეობა „ლენინიზმის" გამგეობებს, რომ ბუხჰალტრებს დ. ოსეფოვსა და შ. ასკილაშვილს შრომადღეების უკანონოდ ხარჯვის დაშვებისა და შრომადღეების აღრიცხვის მოუწესრიგებლობისათვის ჩამოაჭრან შრომადღეების 10 პროცენტამდე თვითეულს.

რაიკომის ბიურომ დაავალა კომკავშირის რაიკომს განიხილოს კაჭრეთის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ბუხჰალტრის ჟ. დარჩიაშვილის საკითხი და კომკავშირული სასჯელი დაადოს კოლმეურნეობაში შრომადღეების აღრიცხვისა და დარიცხვის საქმისადმი დაუდევარი, უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის.

რაიკომის ბიურომ აღნიშნულ კოლმეურნეობებს დაუსახა მთელი რიგი ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

დიდების ქალაქი

(ცარიცინის განთავისუფლების ოცდაათი წლისთავი)

ოცდაათი წლის წინათ, 1920 წლის 3 იანვარს, საბჭოთა ჯარებმა ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლების შედეგად გაათავისუფლეს ცარიცინი (ახლანდელი სტალინგრადი). ცარიცინის ბრძოლები სამოქალაქო ომის ისტორიაში შევიდა როგორც ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე ფურცელი, თეთრგვარდიელთა ბანდების განადგურებისათვის გმირული ბრძოლების შესანიშნავი ფურცელი.

თითქმის ორი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ წარმოებდა ბრძოლები ცარიცინისათვის. რევოლუციის მოსისხლე მტრები — ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები ყოველმხრივ აქეზებდნენ და მხარს უჭერდნენ ჩვენი ქვეყნის კონტრრევოლუციას ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად წარმოებულ ბრძოლებში.

როგორც ცნობილია, 1918 წლის შუა ხანებში საბჭოთა ქვეყნისათვის უდიდესი საფრთხე შეიქმნა სამხრეთში. ცარიცინს და მის მახლობელ დასახლებულ პუნქტებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ მთელი საბჭოთა ქვეყნის ხალხთა საარსებო ინტერესებისათვის. ამიტომ იყო, რომ მტერი ყოველნაირად ცდილობდა რადაც უნდა დაჯდომოდა ხელში ჩაეგდო ცარიცინი და ამით კატასტროფის წინაშე დაეყენებინა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა.

მტრის მიერ ცარიცინის ხელში ჩაგდება უწინარეს ყოვლისა ნიშნავდა რევოლუციის ცენტრის მოწყვეტას პურის რაიონებისაგან. იგი ნიშნავდა ვოლგის სანაოსნო და სარკინიგზო მაგისტრალების დაკარგვას და ამით ჩვენი ქვეყნის მოწყვეტას ბაქოს და გროზნოს ნავთისაგან. ამასთან ცარიცინის ხელში ჩაგდება მტერს შეუნარჩუნებდა სამხრეთსა და კასპიის მხარეს, ბლოკირებული აღმოჩნდებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში მყოფი საბჭოთა ჯარები.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ვ. ი. ლენინმა სწორად შეაფასეს შექმნილი ვითარება. მიღებულ იქნა ყოველგვარი ზომები, რათა ცარიცინი შენარჩუნებული ყოფილიყო.

და აი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ცარიცინის ფრონტზე იგზავნება ი. ბ. სტალინი, რომელიც ადგილზე 1918 წლის 6 ივნისს ჩავიდა. ამხანაგ სტალინის ჩასვლამდე ცარიცინის საბჭოთა, პროფკავშირული და პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში პირდაპირ ქაოსი იყო. სამხედრო სარდლობის საქმიანობაში ყოველ ნაბიჯზე იგრძნობოდა უპასუხისმგებლობა, უდისციპლინობა, დაბნეულობა და არევდარევა.

ამხანაგმა სტალინმა მტკიცედ მოჰკიდა ხელი ცარიცინის დაცვას და სამხედრო ნაწილებსა და ადგილობრივ ორგანიზაციებში რევოლუციური წესრიგის დამყარებას. ამხანაგ სტალინის მუშაობას ყოველნაირად უშლიდა ხელს ტროცკი, რომელიც მფარველობას უწევდა ოლქის მმართველობაში, შტაბებსა და კომისარიატებში შეპარულ კონტრრევოლუციონერებს. მიუხედავად ამისა, ამხანაგ სტალინის მიერ მიღებული ზომების შედეგად ცარიცინი გაწმენდილ იქნა მტრებისაგან. ქალაქი გადაიქცა ურყევ ციხე-სიმაგრედ, რომელზეც იმსხვრეოდნენ დონიდან წამოსული ყაზახთა კონტრრევოლუციური არმიები.

ამხანაგმა სტალინმა უდიდესი მუშაობა გასწია, რათა პურით მოემარაგებინა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც ინტერვენტებისა და შინაური კონტრრევოლუციის მიერ ბლოკირებული იყო. ცარიცინიდან მან უზრუნველყო ასიათასობით ფუთი პროდუქტის გაგზავნა — პეტროგრადში, მოსკოვში, ივანოვო-ვოზნესენსკში, ტულასა და მუშათა სხვა ცენტრებში, სადაც მოსახლეობა შიმშილობდა.

1918 წლის ბოლოს სამხრეთის კონტრრევოლუციური ძალების სარდლად გენერალი დენიკინი გახდა. იგი საბრძოლო იარაღით უხვად აღჭურვეს ინგლისელმა და ფრანგმა იმპერიალისტებმა. დენიკინის ჯარები დაიძრნენ ცარიცინის წინააღმდეგ. ამხანაგმა სტალინმა ცარიცინსა და მის ოლქში დარაზმა საუკეთესო რევოლუციური ძალები. ქალაქში განადგურებულ იქნა კონტრრევოლუციური შეთქმულება. ცარიცინის ფრონტის მებრძოლებმა, რევოლუციურმა პროლეტარებმა და ღარიბმა გლეხობამ ამხანაგ სტალინის მეთაურობით გამანადგურებელი დარტყმა მიაყენეს მტრის ჯარებს და საკუთარი მკერდით დაიცვეს გმირი ქალაქი.



ი. ბ. სტალინი და კ. ე. ვოროშილოვი სანგრებში ცარიცინის ფრონტზე.
მხატვარ მ. გრეკოვის სურათიდან (საქდესის ფოტოქრონიკა).

მტერი მაინც არ ისვენებდა. კოლჩაკი და დენიკინი ცდილობდნენ გაეერთიანებინათ ფრონტები და ერთად შეკრული მუშტით დაერტყათ მოსკოვისათვის. ჩვენი სამშობლოსათვის ეს იყო უაღრესად სერიოზული საფრთხე. 1919 წლის გაზაფხულზე კოლჩაკმა და დენიკინმა შეთანხმებულად იწყეს მოქმედება ცარიცინის წინააღმდეგ. ვ. ი. ლენინმა 1919 წლის 30 მაისს ცარიცინის დამცველებს გაუგზავნა შემდეგი მითითება: „დაუყოვნებლივ გამოჰყავით ყველაზე უფრო პასუხისმგებელი და ენერგიული ცარიცინელი მუშები, რომელნიც მონაწილეობდნენ ცარიცინის დაცვის დროს სტალინის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელებაში, და დაავალეთ მათ შეუდგნენ ყველა იმ ღონისძიებათა განხორციელებას ისეთივე ენერგიით".

1919 წლის 30 ივლისს სასტიკი და შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ ცარიცინის დამცველებმა დროებით დატოვეს ქალაქი. მაგრამ ამ დროისათვის ცარიცინს აღარ ჰქონდა წინანდელი სტრატეგიული მნიშვნელობა. კოლჩაკი უკვე ურალისაკენ იყო განდევნილი, რის შედეგადაც აღარ არსებობდა კოლჩაკისა და დენიკინის ჯარების შეერთების საფრთხე.

თეთრგვარდიელებმა როდი აიღეს ხელი მოსკოვისაკენ გალაშქრების თავიანთი ავანტიურისტული გეგმების განხორციელებაზე. ამჯერად ისინი ვარაუდობდნენ მოსკოვზე გაელაშქრნათ დონბასის, კურსკისა და ორიოლის მიმართულებით.

ვ. ი. ლენინის წინადადებით პარტიის ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ სტალინს კვლავ გზავნის ფრონტის ამ გადამწყვეტ უბანზე. ამხანაგმა სტალინმა შეიმუშავა დენიკინის თეთრგვარდიული ბანდების განადგურების თავისი გენიალური გეგმა. „ამხ. სტალინის ჩასვლამდე სამხრეთის ფრონტის სარდლობამ ტროცკისთან ერთად შეიმუშავა გეგმა, რომლის მიხედვით მთავარი დარტყმა დენიკინის წინააღმდეგ უნდა წარმართულიყო ცარიცინიდან ნოვოროსიისკისაკენ, დონის ველებით, სადაც წითელი არმია თავის სვლაში შეხვდებოდა სრულ უგზოობას და სადაც მას უნდა გაევლო ყაზახებით დასახლებულ რაიონებზე, ხოლო ყაზახთა მნიშვნელოვანი ნაწილი მაშინ თეთრგვარდიელთა გავლენის ქვეშ იყო. ამხ. სტალინმა მკაცრად გააკრიტიკა ეს გეგმა და ცენტრალურ კომიტეტს წარუდგინა დენიკინის განადგურების თავისი გეგმა: მთავარი დარტყმა უნდა წარმართულიყო ხარკოვ-დონბას-როსტოვით. ეს გეგმა უზრუნველყოფდა ჩვენი ჯარების სწრაფ წინსვლას დენიკინის წინააღმდეგ იმის გამო, რომ ჩვენი არმია გაივლიდა მუშურ და გლეხურ რაიონებზე, რომელთა მოსახლეობა აშკარად თანაუგრძნობდა მას. გარდა ამისა, ამ რაიონში რკინიგზების უხვი ქსელის არსებობა შესაძლებლობას იძლეოდა უზრუნველგვეყო ჩვენი ჯარები ყოველივე იმის რეგულარულად მიწოდებით, რაც კი აუცილებლად საჭირო იყო. დასასრულ, ეს გეგმა იძლეოდა დონბასის განთავისუფლებისა და სათბობით ჩვენი ქვეყნის უზრუნველყოფის შესაძლებლობას" („საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი", გვ. 295).

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ამხანაგ სტალინის აღნიშნული გეგმა. საბჭოთა არმია ახორციელებდა რა ამ გენიალურ სტალინურ გეგმას, წარმატებით ეწეოდა შეტევას დენიკინის თეთრგვარდიული ურდოების წინააღმდეგ ხარკოვ-დონბას-როსტოვის მიმართულებით. ამის პარალელურად 1920 წლის იანვრის დასაწყისში სამხრეთის ფრონტის ჯარები გავიდნენ აზოვის ზღვასთან. XI არმიას წილად ხვდა ბოლო მოეღო თეთრებისათვის ცარიცინში. იერიშის მიტანა დანიშნული იყო 2 იანვარს ღამით. 450-ე პოლკის მებრძოლები გადავიდნენ ყინულით დაფარულ ვოლგაზე და ღამით შეიჭრნენ ქალაქში. გამანადგურებელი დარტყმის შედეგად თეთრგვარდიელები განდევნილ იქნენ ქალაქიდან. საბჭოთა ჯარების მიერ დევნილმა დენიკინის ურდოებმა პირი იბრუნეს სამხრეთისაკენ. 1920 წლის დამდეგს მთელი უკრაინა და ჩრდილოეთ კავკასია განთავისუფლებულ იქნა თეთრგვარდიელთა ძალებისაგან. წითელი არმიის მეომრებმა ცარიცინის განთავისუფლებისათვის შეუპოვარ ბრძოლებში განსაკუთრებული გმირობა და მამაცობა გამოიჩინეს.

1925 წელს ცარიცინს ეწოდა ჩვენი ქვეყნის ყველა გამარჯვებათა ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის, ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის სახელი.

ცარიცინთან გამარჯვება, როგორც მრავალი სხვა გამარჯვება სამოქალაქო ომის ფრონტებზე, განუყრელად არის დაკავშირებული ამხანაგ სტალინის სახელთან. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა არმიამ კვლავ გაიმარჯვა დიდი სამამულო ომის დროს, სტალინგრადის გმირულ ბრძოლებში, სახელოვანი გზა გაიარა სტალინგრადიდან ბერლინამდე და მტერი მოსპო მისსავე ბუნაგში. ომში ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ხალხი ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მიდის წინ, სრული კომუნიზმისაკენ.

ა. კოკილაშვილი

მოსწავლეთა საზამთრო არდადეგები თბილისში

პირველი იანვრიდან დაიწყო სასკოლო არდადეგები.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებამ სასკოლო არდადეგების ორგანიზებულად ჩატარებისათვის ჯერ კიდევ დეკემბრის ბოლო რიცხვებში მოიწვია რაიაღმასკომების განათლების განყოფილების გამგეების თათბირი, რომელმაც დასახა ღონისძიებანი.

1 იანვრიდან 13 იანვრამდე სკოლებში ეწყობა ლიტერატურული დილა-საღამოები, საუბრები და მოხსენებები ხალხთა დიდი ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურისა და ტექნიკის საკითხებზე.

ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის დღეებში ქალაქის სკოლების მოსწავლეებმა დაათვალიერეს თბილისის ისტორიული ადგილები.

არდადეგების განმავლობაში ექსკურსიები ჩატარდება სტალინის სამშობლო ქალაქ გორში და რუსთავში. ქალაქის სკოლების 16 საუკეთესო სპორტსმენი-მოსწავლე საგზურით გაიგზავნა ბაკურიანში სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.

სკოლებში ეწყობა საახალწლო ნაძვისხე, ჩატარდება ფიზკულტურული ღონისძიებანი, შეჯიბრება ტანვარჯიშში, კალათბურთში, ფრენბურთში, ჭადრაკში, შაშში.

3-დან 6 იანვრამდე თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსან ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში და ლ. ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში ეწყობა საახალწლო ნაძვისხე.

თბილისის რუსთაველის, მარჯანიშვილის და გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრებში და მოზარდ მაყურებელთა ქართულ და რუსულ თეატრებში ტარდება დილის წარმოდგენები.

მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი ნორჩ მაყურებელს უჩვენებს გ. ნახუცრიშვილის პიესას — „სიჭაბუკე ბელადისა". მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი სდგამს ვ. შჩეგლოვის „გამოქცევას".

ქალაქის კინოთეატრებში ეწყობა სპეციალური კინოსეანსები. ნაჩვენები იქნება საუკეთესო საბჭოთა კინოსურათები.

კიროვის სახელობის ინდუსტრიულ ინსტიტუტში ქალაქის სკოლების გამოსაშვები კლასების მოსწავლეები მოისმენენ მოხსენებას პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტრუქტურაზე, მის მიზანდასახულობაზე, შეხვდებიან ამ ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებს, გაეცნობიან სამეცნიერო კაბინეტ-ლაბორატორიებს, მოისმენენ საუბრებს მეცნიერების ცალკეულ დარგებზე და სხვ. გარდა ამისა, თბილისის ყველა რაიონის სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები ეწვევიან ქალაქის სხვა უმაღლეს სასწავლებლებს და მომავალ პროფესიათა შერჩევის საკითხებზე მოისმენენ გამოჩენილი პროფესორების ლექცია-საუბრებს.

5-დან 9 იანვრამდე ქალაქში ჩატარდება მასწავლებელთა იანვრის თათბირები, სადაც შეჯამდება 1949-1950 სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგები.

სასამართლო პროცესი იაპონიის არმიის ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა საქმეზე, რომელთაც ბრალად ედებათ ბაქტერიოლოგიური იარაღის მომზადება და გამოყენება

ბრალდებულების დაკითხვის შემდეგ ტრიბუნალი 27 დეკემბრის საღამოს სხდომაზევე შეუდგა მოწმეთა დაკითხვას, რაც გაგრძელდა აგრეთვე ტრიბუნალის 29 დეკემბრის დილის სხდომაზე. მოწმეთა დაკითხვამ სავსებით დაადასტურა იაპონელ იმპერიალისტთა საზიზღარი დანაშაულობანი ბაქტერიოლოგიური ომის მომზადების დარგში. მოწმეთა დაკითხვის შემდეგ ქვეყნდება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა.

29 დეკემბრის საღამოს სხდომაზე გამოვიდა სახელმწიფო ბრალმდებელი ლ. ნ. სმირნოვი.

იუსტიციის 3 კლასის სახელმწიფო მრჩევლის ლ. ნ. სმირნოვის სიტყვა

ამხანაგო მოსამართლენო, ამხანაგო სამხედრო ტრიბუნალის წევრნო, ამ პროცესის მნიშვნელობა შორს სცილდება საბრალდებო სკამზე მსხდომ დამნაშავეთა პირადი ბრალის გამორკვევისა და პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრის ფარგლებს, — ამბობს სახელმწიფო ბრალმდებელი. — მშვიდობისა და პროგრესული კაცობრიობის წინააღმდეგ უმძიმეს დანაშაულობათა ერთიანი ჯაჭვი აკავშირებს იაპონიის კვანტუნის არმიის ყოფილ სარდალს გენერალ იამადას იაპონელ მილიტარისტთა ავაზაკურ წინასწარგანზრახულებათა შემსრულებლებთან—ბაქტერიოლოგებთან, რომელნიც იაპონიის არმიის სპეციალურ საიდუმლო ფორმირებებში მუშაობდნენ. მაგრამ, როგორც სასამართლო გამოძიების დროს გამოირკვა, ეს ჯაჭვი საბრალდებო სკამით როდი წყდება. იაპონიის დანაშაულებრივი იმპერიალიზმი ბაქტერიოლოგიურ ომს გეგმავდა და ამზადებდა როგორც მშვიდობისმოყვარე ხალხთა წინააღმდეგ საერთო შეთქმულებისა და აგრესიის ნაწილს.

სახელმწიფო ბრალმდებელი მოაგონებს სასამართლოს, რომ მრავალი წლის განმავლობაში იმპერიალისტური იაპონია იყო აგრესიის მთავარი კერა შორეულ აღმოსავლეთში. გასული ნახევარი საუკუნის მთელი ისტორია მოწმობს იაპონიის მშვიდობისმოყვარე მეზობელთა მიმართ იაპონიის აგრესიის მრავალ აქტს. იაპონიის მთავარ სამხედრო დამნაშავეთა საერთაშორისო პროცესზე ტოკიოში, რომელიც 1948 წელს დამთავრდა, მთელი სიცხადით დამტკიცდა, რომ იაპონია მრავალი წლის მანძილზე ემზადებოდა საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის. საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის განაჩენში ჩაწერილია:

„ტრიბუნალს მიაჩნია, რომ იაპონია აგრესიულ ომს სსრ კავშირის წინააღმდეგ ითვალისწინებდა და გეგმავდა განსახილველი პერიოდის განმავლობაში..., რომ აგრესიული ომი იყო იაპონიის ნაციონალური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი და მისი მიზანი იყო შორეულ აღმოსავლეთში სსრ კავშირის ტერიტორიის ხელში ჩაგდება".

უდიდეს მონოპოლისტურ გაერთიანებათა წაქეზებით, რომლებიც შეეხორცნენ იაპონიის სამხედრო-ფეოდალურ მაღალ ფენას, იაპონელმა იმპერიალისტებმა საბჭოთა შორეული აღმოსავლეთი და „ციმბირი ურალამდეც კი" წინასწარ შეიტანეს ეგრეთ წოდებული „დიდი აღმოსავლეთი აზიის თანააყვავების სფეროს" შემადგენლობაში. იმის მიზეზი, რომ იაპონელ იმპერიალისტთა აგრესიული გეგმები სსრ კავშირის მიმართ არ ხორციელდებოდა, სრულიადაც არ იყო იაპონელ იმპერიალისტთა მშვიდობისმოყვარეობა. მშვიდობა საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთში შენარჩუნებულ იქნა მხოლოდ გენიალური სტალინური პოლიტიკის შედეგად, სტალინური ხუთწლედების ძლევამოსილად დამთავრების შედეგად, საბჭოთა შეიარაღებული ძალების განმტკიცებისათვის ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუღალავი მზრუნველობის შედეგად.

მაგრამ იმპერიალისტური იაპონია როდი იღებდა ხელს სსრ კავშირის წინააღმდეგ აგრესიული ომის მომზადებაზე. მანჯურიის ოკუპაცია იყო იაპონიის აგრესიის ახალი ეტაპი, რომელმაც ამ აგრესიით შექმნა პლაცდარმი საბჭოთა კავშირზე თავდასხმისა და ჩინეთში შეჭრისათვის. მანჯურიაში თავმოყრილი იყო იაპონიის იმპერიალიზმის ძირითადი დამკვრელი ძალა — კვანტუნის არმია. ამ ქვეყნის ტერიტორია დაფარული იყო სტრატეგიული გზებისა და აეროდრომების ქსელით, აქ გაშლილი იყო იაპონიის არმიის საიდუმლო ფორმირებანი, რომლებიც ბაქტერიოლოგიურ ომს — იაპონიის იმპერიალიზმის ამ საიდუმლო იარაღს ამზადებდნენ.

1936 წელს საბოლოოდ ჩამოყალიბდა შეთქმულება მშვიდობის წინააღმდეგ — იაპონიამ და ჰიტლერულმა გერმანიამ დადეს ეგრეთ წოდებული ანტიკომინტერნული პაქტი, რომელსაც შემდეგ მიემხრო ფაშისტური იტალია. 1937 წელს იაპონია შეიჭრა ჩინეთში; 1938 წელს იაპონელი მილიტარისტები ხასანის ტბის რაიონში თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირს, სადაც ძალების მოსინჯვა იაპონიის სასარგებლო როდი აღმოჩნდა. 1939 წელს, გენერალური შტაბის მითითებით, კვანტუნის არმია მეორედ დაესხა თავს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასა და სსრ კავშირს, სადაც აგრეთვე შეხვდა გამანადგურებელ წინააღმდეგობას. მაგრამ ამან ვერ შეაჩერა იაპონიის სამხედრო ხროვის აგრესიული მისწრაფება. ჰიტლერელ კაციჭამიებთან ერთად იგი ოცნებობდა მსოფლიო ბატონობაზე. ამ მიზნის მისაღწევად იაპონელმა იმპერიალისტებმა დაიწყეს ადამიანთა მასობრივი მოსპობის ყველაზე მტანჯველ და არაადამიანურ საშუალებათა მომზადება.

— როცა ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ პირისპირ ბრძოლაში, — ამბობს სახელმწიფო ბრალმდებელი, — საბჭოთა არმიის ჯარები ამსხვრევდნენ მტრის წინააღმდეგობას და მიდიოდნენ დასავლეთისაკენ, ისინი თავის გზაზე ხვდებოდნენ ტრემბლინკის მბოლავ ნანგრევებს, მაიდანეკის გაზის კამერებს, ოსვენციმის კრემატორიუმების ღუმელებს — სიკვდილის ავაზაკურ ინდუსტრიას, რომელიც გერმანიის დანაშაულებრივმა ფაშიზმმა შექმნა. პოზნანის ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტის ლაბორატორიებში ჰიტლერელ ბაქტერიოლოგებს გამოჰყავდათ შავი ჭირის ბაქტერიები და ემზადებოდნენ მილიონობით მშრომელი ადამიანის წინააღმდეგ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენებისათვის.

მხოლოდ საბჭოთა შეიარაღებული ძალების მიერ მიყენებულმა გამანადგურებელმა დარტყმამ იხსნა მაშინ კაცობრიობა ბაქტერიოლოგიური ომის საშინელებათაგან, რასაც ჰიტლერელი ავაზაკები მსოფლიოს უმზადებდნენ. და როცა ჰიტლერული სამხედრო მანქანის განადგურების შემდეგ თავისი სამოკავშირეო მოვალეობის ერთგულმა საბჭოთა არმიის ჯარებმა შემუსრეს იაპონიის იმპერიალიზმის დამკვრელი ძალა, კვანტუნის არმია, მათ კვლავ იხსნეს კაცობრიობა ბაქტერიოლოგიური ომის საშინელებისაგან.

სასამართლო პროცესმა ცხადყო, — ხაზგასმით აღნიშნავს პროკურორი, — რომ იაპონელი მილიტარისტები გამალებით ემზადებოდნენ ბაქტერიოლოგიური ომისათვის, ეძებდნენ ამ ომის ყველაზე ეფექტიან საშუალებებს და მათი გამოყენების ხერხებს. ასე ცდილობდნენ დაებრუნებინათ კაცობრიობა ხოლერისა და შავი ჭირის საშინელი ეპიდემიების ხანაში, საშუალო საუკუნეთა ყველაზე ბნელ პერიოდში ის ავაზაკები, რომელთა ნაწილიც ბრალდებულთა სკამზე ზის.

როგორც სასამართლო გამოძიებამ დაადასტურა, 20 კილომეტრზე ხარბინიდან არის დიდი სამხედრო ქალაქის ნაშთები, სადაც მოთავსებული იყო იაპონიის არმიის სპეციალური ბაქტერიოლოგიური ფორმირება — № 731 რაზმი ანუ „ისიის რაზმი", რომელიც მთელი რიგი წლების განმავლობაში ამზადებდა ბაქტერიოლოგიურ ომს, დაწყებული მომაკვდინებელი ინფექციების შერჩევით, ათასობით მსხვერპლზე მათი გამოცდით და ბაქტერიების კულტივირების მეთოდების დამუშავებით და დამთავრებული უდიდესი მასშტაბის აგრესიული ბაქტერიოლოგიური ომის წარმოებისათვის საშუალებათა მასობრივი წარმოებით. ბრალდებულმა გენერალმა იამადამ აღიარა, რომ ისიის რაზმი იმყოფებოდა საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში და შეეძლო შეესრულებინა სარდლობის ყოველგვარი დავალება. იამადას ჩვენებიდან ჩანს, რომ იაპონიის გენერალურმა შტაბმა დაამტკიცა ომის მიზნებისათვის ბაქტერიების [illegible] თო მოწამვლა დივერსიული აქტების მეთოდით.

შემდეგ სახელმწიფო ბრალმდებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბაქტერიოლოგიური ომის ბუნება ისეთია, რომ თავისი მოქმედებით როდი განისაზღვრება ფრონტის ხაზით ან თუნდაც მოწინააღმდეგის ტერიტორიით. ეს ომი აურაცხელ უბედურებას მოუტანდა აგრეთვე ნეიტრალური ქვეყნების ხალხებს.

სახელმწიფო ბრალმდებელი იყენებს იმ უდავო ფაქტებს, რომლებიც წინასწარი და სასამართლო გამოძიების მსვლელობაში დადასტურდა, და აღადგენს ბაქტერიოლოგიური ომისათვის იაპონიის სამხედრო ხროვის მზადების ისტორიას. თავდაპირველად იაპონიის გენერალური შტაბის სტრატეგიული განყოფილების მხარდაჭერით შეიქმნა ბაქტერიოლოგიური ომის იდეოლოგის სირო ისიის ლაბორატორია. ისიის მთელი გამოკვლევა დიდი საიდუმლოებით იყო მოცული. ვინაიდან მის სახელს შეეძლო გაეშიფრა ლაბორატორიის მუშაობის მიმართულება, მან სახელი გამოიცვალა და დაირქვა ტოგო, მის ლაბორატორიას კი ეწოდა „ტოგოს რაზმი". 1936 წელს, როგორც ბრალდებულებმა აჩვენეს, იაპონიის იმპერატორმა ხიროხიტომ გამოსცა ბრძანებულება გენერალური შტაბის გეგმების შესაბამისად იმ ავაზაკური ექსპერიმენტების უფრო ფართო მასშტაბის მძლავრი ბაზის შექმნის შესახებ, რომლებსაც ისიი ლაბორატორიულ პირობებში ეწეოდა, და მისი შედეგების პრაქტიკაში გამოყენების შესახებ. ამ ბრძანებულებების შესაბამისად მანჯურიაში შეიქმნა და კვანტუნის არმიას შეუერთდა ორი დიდი ბაქტერიოლოგიური ფორმირება, რომლებსაც უნდა უზრუნველეყოთ დიდი მასშტაბის ომის წარმოებისათვის ბაქტერიოლოგიური იარაღის მასობრივი წარმოება.

მაგრამ, ემზადებოდა რა სსრ კავშირის წინააღმდეგ ბაქტერიოლოგიური ომისათვის, — აღნიშნავს სახელმწიფო ბრალმდებელი, — იაპონიის სამხედრო ხროვა, როგორც სასამართლო გამოძიების დროს დადასტურდა, აპირებდა გამოეყენებინა ეს იარაღი იმ ქვეყნების წინააღმდეგაც, რომლებიც იმ დროს იაპონიასთან ომის მდგომარეობაში იყვნენ, ე. ი. ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ. ამაზე, კერძოდ, ილაპარაკა 1945 წლის აპრილში, № 731 რაზმის ოფიცერთა ოპერატიულ თათბირზე გენერალმა ისიიმ, რომელმაც მიიღო იაპონიის გენერალური შტაბის საიდუმლო მითითებანი. ისიი მაშინ ამბობდა: „ჩვენ მოგვიხდება ვიხმაროთ უკანასკნელი ღონისძიებანი, მათ შორის ბაქტერიოლოგიური იარაღიც, რათა მივაღწიოთ გარდატეხას იაპონიის სასარგებლოდ". ჯერ კიდევ 1943 წელს № 731 რაზმის მეცნიერი თანამშრომელი მინატო მივლინებულ იქნა სამხედრო ტყვეების ბანაკებში ამერიკელი ჯარისკაცების სისხლის და ინფექციური დაავადებებისადმი მათი იმუნიტეტის გამოსაკვლევად.

იაპონიის არმიის საიდუმლო ბაქტერიოლოგიურ ფორმირებათა საქმიანობის დანაშაულებრივი ხასიათი, — ამბობს ამხ. სმირნოვი, — მტკიცდება არა მარტო სასამართლო გამოძიების დროს დაკითხულ ბრალდებულთა და მოწმეთა ჩვენებებით, არამედ № 731 და № 100 რაზმების სტრუქტურით, მათი სპეციალური ტექნიკური აღჭურვილობით. განსაკუთრებით მძლავრი ბაქტერიოლოგიური ფორმირება იყო № 731 რაზმი. მას ჰქონდა სადგურ პინფანის რაიონში მდებარე პატარა ქალაქი, რომელიც გამოცხადებული იყო აკრძალულ ზონად — თვითმფრინავსაც კი არ შეეძლო გადაეფრინა მის ტერიტორიაზე. რაზმს ჰქონდა თავისი საპატიმრო, სადაც ავაზაკურ ექსპერიმენტებს აწარმოებდნენ ცოცხალ ადამიანებზე.

შემდეგ სახელმწიფო ბრალმდებელი დოკუმენტების, ბრალდებულთა და მოწმეთა ჩვენების საფუძველზე სასამართლოს წინაშე ხატავს სიკვდილის ამ გიგანტური კომბინატის „მოღვაწეობას", სადაც ქმნიდნენ და ცოცხალ ადამიანებზე ცდიდნენ ბაქტერიოლოგიური იარაღის სახეებს, სადაც შექმნილი იყო ბაზა მომაკვდინებელი ბაქტერიების უდიდესი მასების გამოსაყვანად. ისიის რაზმში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ციმბირის წყლულის, ხოლერისა და შავი ჭირის ინფექციების გამომწვევებზე წარმოებულ დანაშაულებრივ ექსპერიმენტებს.

№ 731 რაზმში წარმოებდა განუწყვეტელი მუშაობა რწყილების შესასწავლად და გასამრავლებლად, რომლებსაც ისიი და მისი თანაშემწეები განიხილავდნენ, როგორც შავი ჭირის ინფექციის საუკეთესო გადამტანებს. როგორც სასამართლო გამოძიების მსვლელობაში გამოირკვა, მარტო მინიმალური გამოანგარიშებით, ისიის ერთ რაზმს უფილიალებოდ ერთ „საწარმოო" ციკლში შეეძლო გამოეყვანა 45 კილოგრამი პარაზიტები, რაც ექსპერტიზის გამოანგარიშებით საშუალოდ შეადგენდა 145 მილიონ რწყილს.

— უდავოდ გამორკვეულია, — ამბობს სახელმწიფო ბრალმდებელი, — რომ № 731 რაზმის პირადად ნახვის შემდეგ იამადა დაეთანხმა ისიის დანაშაულებრივ გეგმებს ბაქტერიოლოგიური ომის მიზნებისათვის შავი ჭირის რწყილების, როგორც ეპიდემიის გამავრცელებელთა გამოყენების შესახებ. კვანტუნის არმიის სარდლობის ყველა გეგმა მოწონებული იყო იაპონიის არმიის გენერალური შტაბის მიერ.

უშუალოდ ისიის რაზმში ამზადებდნენ აგრეთვე ბაქტერიოლოგიური დივერსიების შემსრულებლებს და ბაქტერიოლოგიური იერიშების მონაწილეებს — ადამიანებს, რომლებიც გაწვრთნილი იყვნენ იმაში, რომ ადამიანები დაეხოცათ მოფიქრებულად, გულგრილად და დაუსჯელად.

№ 100 რაზმში, № 731 რაზმისაგან განსხვავებით, მუშაობდნენ ცხოველთა და მცენარეთა მოწამვლის საშუალებათა ძიებაზე, და ამ მიმართულებით მზადდებოდა აქ ბაქტერიოლოგიური ომის იარაღი. დამტკიცებულია, რომ ამ რაზმში, ისე როგორც № 731 რაზმში, ეწეოდნენ ცდებს ცოცხალ ადამიანებზე.

სახელმწიფო ბრალმდებელი იხსენებს ბაქტერიოლოგიურ თავდასხმას, რომელიც ისიის რაზმმა მოახდინა საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის ჯარებზე 1939 წელს, აგრესიული ომის დროს, რასაც იაპონია მდინარე ხალხინ-გოლის რაიონში ეწეოდა.

შემდეგ სახელმწიფო ბრალმდებელი ლაპარაკობს ჩინელი ხალხის წინააღმდეგ № 731 რაზმის არაადამიანური ბაქტერიოლოგიური ოპერაციების შესახებ, რომლებიც უმაგალითო იყო ცივილიზებული კაცობრიობის ისტორიაში და რომლებსაც ადგილი ჰქონდა 1940, 1941 და 1942 წლებში. 1942 წელს № 731 რაზმს ეხმარებოდა № 1644 ნანკინის რაზმი „ეი", რომელსაც 1943 წლიდან ბრალდებული სატო მეთაურობდა.

იაპონიის გენერალური შტაბის მითითებათა შესაბამისად, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყებისას კვანტუნის არმიას შავი ჭირის რწყილებით დატენილი ავიაბომბები უნდა დაეშინა საბჭოთა შორეული აღმოსავლეთის ქალაქებისათვის. პროკურორს მოჰყავს კვანტუნის არმიის შტაბის ოპერატიულ-სტრატეგიული განყოფილების ყოფილი უფროსის გენერალ მაცუმურას ჩვენების ამონაწერი იმის შესახებ, რომ სსრ კავშირთან ომის შემთხვევაში ბაქტერიოლოგიური იარაღი უნდა გამოეყენებინათ ქალაქების ვოროშილოვის, ხაბაროვსკის, ბლაგოვეშჩენსკისა და ჩიტის რაიონში. სსრ კავშირის საზღვრების სიახლოვე იმის უმნიშვნელოვანესი მიზეზი იყო, რომ № 731 რაზმი განლაგებული იყო სახელდობრ მანჯურიაში.

— მაგრამ, — ხაზგასმით აღნიშნავს სახელმწიფო ბრალმდებელი, — როგორც ბრალდებულმა კავასიმამ აჩვენა, ამისათვის სხვა მიზეზიც იყო: დანაშაულებრივი ძიებანი ბაქტერიოლოგიური ომის მომზადების დარგში ექსპერიმენტებისათვის მრავალ ათასობით ადამიანის მსხვერპლს მოითხოვდნენ. ამ მხრივ მანჯურია განსაკუთრებით „მოსახერხებელ" ადგილს წარმოადგენდა იაპონელი ავაზაკებისათვის.

სახელმწიფო ბრალმდებელი თავისი სიტყვის მნიშვნელოვან ნაწილს მიუძღვნის იმ არაადამიანური „მეცნიერული ცდების" მსხვერპლთ, რომლებსაც იაპონელი ბაქტერიოლოგები ბაქტერიოლოგიური ომის მომზადების მიზნით ეწეოდნენ. დაემყარა რა მრავალ დოკუმენტსა და ბრალდებულთა და მოწმეთა ჩვენებებს, სახელმწიფო ბრალმდებელმა სამარცხვინო ბოძზე გააკრა „მეცნიერი" ბაქტერიოლოგები, რომლებმაც ათასობით ადამიანი აწამეს. ეს ადამიანები იყვნენ ჩინელი და რუსი პატრიოტები. ეს ადამიანები აწამეს ისეთი ხერხებით, რომელთა წინაშეც იჩრდილებიან საშუალო საუკუნეებში სიკვდილით დასჯისა და წამების ყველა საშინელებანი. მათ შეჰყრიდნენ ხოლმე შავ ჭირს, გაზის განგრენას, კიდურებს უზრობდნენ. ხოლო როცა ადამიანები დაუძლურდებოდნენ და „ცდებისათვის" უვარგისი გახდებოდნენ, — მათ კლავდნენ და წვავდნენ კრემატორიუმის ღუმელებში ან პირუტყვის სამარხში ფლავდნენ. ასობით საცდელი ადამიანი დაიღუპა № 731 რაზმის პოლიგონზე სადგურ ანდას მახლობლად. მათზე იაპონელი „მეცნიერები" ატარებდნენ ცდებს ეგრეთ წოდებულ „საველე პირობებში" ბაქტერიოლოგიური ბომბების გამოსაყენებლად. ისიის რაზმში მოსასპობად მიყვანილი ადამიანები ადამიანებად როდი ითვლებოდნენ, მკრეხელობითი აბუჩად აგდებით მათთვის შექმნილი იყო განსაკუთრებული პირობითი სახელწოდება — „მორები".

სახელმწიფო ბრალმდებელმა სასამართლოს მოაგონა, რომ დოკუმენტი ასეთი „ცდების" შესახებ, რომლებსაც ნანკინში აწყობდა „ტამას" რაზმი, — იგივე № 1644 „ეი", წარედგინა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალს ტოკიოში, ტრიბუნალი დაინტერესდა ამ ფაქტებით და ამერიკის ბრალდებას მოსთხოვა წარმოედგინა დამატებითი დამამტკიცებელი საბუთები.

— მალე ამის შემდეგ, — ამბობს ამხ. სმირნოვი, — ბრალდებამ საბჭოთა კავშირის მხრივ საერთაშორისო ტრიბუნალში მთავარ ბრალმდებელს ამერიკისაგან გადასცა კავასიმას და კარასავას წერილობითი ჩვენებანი, რომლებიც საკმაო სისრულით ამჟღავნებდნენ იაპონიის მმართველი ხროვის დანაშაულს ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოცდისას ცოცხალ ადამიანებზე ავაზაკური ცდების წარმოების შესახებ. მაგრამ, როგორც ჩანს, ვიღაც გავლენიანი პირები დაინტერესებული იყვნენ, რათა ხელი შეეშალათ იაპონიის სამხედრო ხროვის საშინელ დანაშაულობათა გამომჟღავნებისათვის, და ტრიბუნალს არ წარედგინა დამატებითი დოკუმენტები „ტამას" რაზმის საქმიანობისა და ანალოგიური ცდების შესახებ, რომლებსაც ისიის რაზმში ეწეოდნენ.

სასამართლო პროცესზე დამტკიცებულ იქნა, — ამბობს ამხ. სმირნოვი, — რომ იაპონელ სამხედრო დამნაშავეთა აქტივობა დიდი მასშტაბით ბაქტერიოლოგიური ომის მომზადებისა და გაჩაღების დარგში განსაკუთრებით გაძლიერდა სსრ კავშირზე ჰიტლერული გერმანიის თავდასხმის შემდეგ. ამ დროისათვის ძირითადად დამთავრებული იყო იაპონელ იმპერიალისტთა მზადება ბაქტერიოლოგიური ომისათვის და შექმნილი იყო ყველა პირობა ბაქტერიოლოგიური იარაღის მასობრივად დამზადებისათვის. ყველაფერი მზად იყო. ელოდნენ მხოლოდ სიგნალს ტოკიოდან, რათა დაეწყოთ საომარი მოქმედება სსრ კავშირის წინააღმდეგ. მაგრამ სიგნალი არ მოსულა. მძლავრმა საბჭოთა კავშირმა, მისმა არმიამ ჩაშალეს გეგმები აგრესორისა, რომელსაც განზრახვა ჰქონდა გამოეყენებინა კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო დანაშაულებრივი იარაღი.

გადადის რა იმ დამამტკიცებელი საბუთების ანალიზზე, რომლებიც ადასტურებენ ბრალდებულთა პირად პასუხისმგებლობას, სახელმწიფო ბრალმდებელი ამბობს:

— დამნაშავეთა ბედის გადაწყვეტისას სასამართლომ მხედველობაში უნდა იქონიოს მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ამ დანაშაულებრივი შეთქმულების საბოლოო მიზნები. ჩვენ ვიცით, რომ იაპონიის არმიის საიდუმლო ბაქტერიოლოგიური ფორმირებანი შექმნილი იყო იაპონიის იმპერატორ ხიროხიტოს ბრძანებულებით. დანაშაულებრივი შეთქმულების მონაწილეთა წყება როდი განისაზღვრება იმ დამნაშავეებით, რომლებსაც თქვენ განაჩენს გამოუტანთ. ჩვენ ვიცით აგრეთვე სახელები იმ საზიზღარი, იაპონიის იმპერიალიზმის მორალურად გახრწნილი მსახურებისა, იაპონიის არმიის ყოფილი გენერლების, „მეცნიერი" ბაქ-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

სასამართლო პროცესი იაპონიის არმიის ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა საქმეზე, რომელთაც ბრალად ედებათ ბაქტერიოლოგიური იარაღის მომზადება და გამოყენება

(დასასრული)

ტერიოლოგების სირო ისიის, კიტანოს, ვაკამაცუსი, ვისი სახითაც იაპონიის მმართველმა ხროვამ იპოვნა ადამიანები, რომლებიც მზად იყვნენ თავიანთი სპეციალური ცოდნა გამოეყენებინათ დანაშაულებრივი ბაქტერიოლოგიური ომის მოსამზადებლად.

ჩვენ ვიცით კაცთმოძულეთა — № 731 რაზმის ყოფილი თანამშრომლების, ექიმებისა და ინჟინრების ოოტას, მურაკამის, იკარის, ტანაკას, იოსიმურას და ბევრ სხვათა სახელები, რომლებიც გულგრილად და ულმობლად ხოცავდნენ უმწეო ადამიანებს; მათ კაცობრიობის დასაღუპავად მრავალ მილიონობით გამოჰყავდათ შავი ჭირის პარაზიტები და ასობით კილოგრამი მომაკვდინებელი მიკრობები. ყველა ეს ავაზაკი საბრალდებლო სკამზე როდი ზის. იმყოფებიან რა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ისინი სარგებლობენ იმპერიალისტური ბანაკის იმ რეაქციული ძალების მფარველობით, რომლებიც თვითონ ოცნებობენ იმ დროებაზე, როცა შეძლებენ კაცობრიობას თავს დაატეხონ ტრინიტროტოლუოლის, ატომური ბომბებისა და მომაკვდინებელი ბაქტერიების ტვირთი. მაგრამ იმ მკვლელებმა, რომლებიც ამჟამად სასამართლოს წინაშე იმყოფებიან, სასტიკი პასუხი უნდა აგონ კაცობრიობის წინაშე მათ მიერ ჩადენილი ყველა უსაშინელესი დანაშაულისათვის.

სახელმწიფო ბრალმდებელს მიაჩნია, რომ ბრალდებულების იამადას, კაძიცუკას, ტაკახასის, სატოსა და კავასიმას მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას მაქსიმალური სანქცია — თავისუფლების აღკვეთა 25 წლით; ბრალდებულების კარასავას, ნისის, ონოუეს, ხირაზაკურას და მიტომოს მიმართ — თავისუფლების აღკვეთა 15-20 წლით; ბრალდებულების კიკუჩისა და კურუსიმას მიმართ, ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ისინი არიან მათთვის აშკარად დანაშაულებრივი ბრძანებების მხოლოდ შემსრულებელნი — თავისუფლების აღკვეთა სამ-სამი წლით.

— ამხანაგო მოსამართლენო, — ამბობს სახელმწიფო ბრალმდებელი, — ამ პროცესის მნიშვნელობა ის არის, რომ მან არაჩვეულებრივი სიცხადით დაგვანახვა იაპონიის ავაზაკური იმპერიალიზმის მხეცური სახე, რომელიც დიდი საიდუმლოებით ამზადებდა ბაქტერიოლოგიურ ომს, — აგრესიის ერთ-ერთ ყველაზე არაადამიანურ იარაღს. ის ჟამი, როცა კაცობრიობის წინააღმდეგ უნდა გამოეყვანათ აურაცხელი მილიარდი მომაკვდინებელი მიკრობის ძალები, სულ ახლოს იყო, და მხოლოდ საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების სწრაფმა, მოწინააღმდეგის შემბოჭავმა გამანადგურებელმა დარტყმამ იხსნა მსოფლიო ბაქტერიოლოგიური ომის საშინელებისაგან.

ჩვენი მძლავრი სოციალისტური სამშობლოსათვის სიამაყით, რომელმაც კაცობრიობის ცივილიზაცია იხსნა დაღუპვისაგან, ვიგონებთ დღეს საბჭოთა ხალხის დიდ გმირობას სამამულო ომში.

თქვენმა განაჩენმა არა მარტო მკაცრად და სამართლიანად უნდა დასაჯოს საბრალდებო სკამზე მსხდომი დამნაშავენი და სამარცხვინო ბოძზე გააკრას იაპონელ აგრესორთა ავაზაკობა. თქვენი განაჩენი უნდა გაისმას როგორც მრისხანე გაფრთხილება ახალი მსოფლიო ომის გამჩაღებლებისათვის, რომლებიც ისეთივე ულმობელი და სასტიკი კაცთმოძულეები არიან, როგორც ისინი, ვის დანაშაულობასაც თქვენ მსჯავრს დასდებთ.

დაე ახსოვდეს კაცობრიობის წინააღმდეგ ახალ ავაზაკობათა ყველა განმზრახველს და ადამიანთა მასობრივი მოსპობის ახალ საშუალებათა მომმზადებლებს, რომ კაცობრიობას არ დაუვიწყნია მეორე მსოფლიო ომის გაკვეთილები. მშვიდობისა და უშიშროების საგუშაგოზე დგანან მილიონობით უბრალო ადამიანები, დემოკრატიული ძალების მძლავრი ფრონტი, რომელსაც დიდი საბჭოთა კავშირი მეთაურობს. ეს არის მძლავრი და ყოვლისმძლე ძალა, რომელიც შეძლებს შეაჩეროს და მკაცრად დასაჯოს ახალი ომის ყოველგვარი გამჩაღებლები. დაე ამის მრისხანე გახსენებად გაისმას თქვენი განაჩენი, ამხანაგო მოსამართლენო!

* * *

ხაბაროვსკი, 30 დეკემბერი. (საკდესი). დღეს დილის სხდომაზე გრძელდებოდა მხარეთა კამათი. სიტყვა მიეცა დაცვას.

დამცველთა სიტყვები

ადვოკატმა ბელოვმა, რომელიც ბრალდებულ იამადას იცავდა, თქვა, რომ დანაშაული, რაც ჩაიდინა ბრალდებულმა, როგორც ისეთმა პირმა, რომლის კომპეტენციას ეკუთვნოდა ხელმძღვანელობა ბაქტერიოლოგიური იარაღის წარმოებისა, რომლის ტაქტიკურ გამოყენებას ცოცხალ ადამიანებზე სცდიდნენ, უმძიმესი დანაშაულია კაცობრიობის წინააღმდეგ და ისტორიაში უმაგალითოა. მაგრამ, ამბობს იგი, სასამართლოს ვთხოვ განაჩენის გამოტანის დროს გაითვალისწინოს, რომ ბრალდებულმა იამადამ ძალა და სიმტკიცე გამოიჩინა მთლიანად ეღიარებინა თავისი დანაშაული. მან დაწვრილებით და გულწრფელად გააშუქა სასამართლო პროცესის დროს როგორც თავისი დანაშაულებრივი საქმიანობა, ისე ბაქტერიოლოგიური ომის მთავარ შთამგონებელთა და ორგანიზატორთა დანაშაულებრივი საქმიანობა, რაც ამ პროცესზე გამოირკვა.

ბრალდებულების მიტომოს, კიკუჩისა და კურუსიმას დამცველი ადვოკატი პროკოპენკო სასამართლოს სთხოვს შეუმსუბუქოს მათ ხვედრი, ვინაიდან ეს ბრალდებულები რიგითი თანამშრომლები იყვნენ და ასრულებდნენ იმ ზემდგომი უფროსების ბრძანებებს, რომლებიც ახლა ბრალდებულთა სკამზე სხედან.

ისინი დანაშაულებრივ საქმეში მხოლოდ დამხმარენი იყვნენ.

ბრალდებულების კავასიმას, კაძიცუკას, ტაკახასის, სატოს, ნისის, ხირაზაკურას, კარასავას და ონოუეს დამცველმა ადვოკატებმა ამ ბრალდებულთა დანაშაულობანი დაახასიათეს როგორც ისეთი დანაშაულობანი, რომლებიც საბჭოთა კავშირის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩინეთისა და სხვა ქვეყნების ხალხებს უქადდნენ საშინელ და მტანჯველ უბედურებას, და სასამართლოს მიმართეს თხოვნით განაჩენის გამოტანის დროს გაითვალისწინოს გულწრფელი მონანიება ბრალდებულებისა, რომლებმაც მთლიანად შეიგნეს თავიანთი დანაშაული.

ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვა

შემდეგ სასამართლომ ბრალდებულებს მისცა უკანასკნელი სიტყვა. მიკროფონთან პირველი მივიდა ბრალდებული კავასიმა, № 731 რაზმის საწარმოო განყოფილების ყოფილი უფროსი.

— სანამ საბჭოთა კავშირში მოვხვდებოდი,— ამბობს იგი, — სრულიად არასწორი წარმოდგენა მქონდა მის შესახებ.

პირველი, რაც ვიგრძენ და ძლიერ მკაფიოდ ვიგრძენ, — ეს იყო საბჭოთა ადამიანების ჰუმანური დამოკიდებულება ჩემდამი. ამაზე ბევრი ვიფიქრე, სანამ არ დავრწმუნდი, რომ ეს შემთხვევითი როდია, რომ ეს არის შედეგი საბჭოთა წყობილებისა, სადაც არ არის ხალხთა არათანასწორუფლებიანობა, სადაც არ არის ეროვნული მტრობა. მე მივხვდი, რომ საბჭოთა კავშირი ჭეშმარიტად დემოკრატიული ქვეყანაა, სადაც ზრუნავენ ხალხის კეთილდღეობისათვის, ისეთი ქვეყანაა, რომელიც მთელ მსოფლიოში მშვიდობის საგუშაგოზე დგას. და ამან შესაძლებლობა მომცა შემეგნო ჩემი დანაშაულის მთელი სიმძიმე, შემეცვალა ჩემი შეხედულებანი. მე მივხვდი, რომ ჩემ მიერ ჩადენილი დანაშაული სამარცხვინოა არა მარტო ჩემთვის, არამედ მთელი ჩემი ქვეყნისთვისაც. აქ ჩემთვის გასაგები გახდა, რომ იაპონია კაპიტულაციის შემდეგ უნდა ვითარდებოდეს, როგორც დემოკრატიული სახელმწიფო, რომ იქ ბოლომდე მხილებულ უნდა იქნას წარსული ბოროტმოქმედებისა და კაცობრიობის წინაშე დანაშაულის ყველა ფაქტი.

რაც მე ვთქვი, ეს ჩემი აღსარებაა, ჩემი სინანულია, რაც გამოვთქვი ჯერ კიდევ წინასწარი გამოძიების დასაწყისში. ჩემთვის ეს მძიმე და მტანჯველი საქმე იყო. გამოძიების ჰუმანურმა დამოკიდებულებამ ჩემდამი ხელი შემიწყო დროზე მიმეგნო ამ სწორი გამოსავლისათვის.

მე კარგად ვიგრძენ, რომ ჩემ მიერ ჩადენილი დანაშაული უდიდესი ბოროტმოქმედებაა კაცობრიობის წინაშე. მე მზად ვარ მივიღო სასამართლოს ყველაზე მკაცრი განაჩენი.

ბრალდებულმა კარასავამ თავის უკანასკნელ სიტყვაში განაცხადა:

— ჯერ კიდევ 1946 წელს, როცა სხდომები ჰქონდა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალს, მე ვაღიარე და გულწრფელად მოვინანიე ყველა დანაშაული, რაც № 731 რაზმში ჩავიდინე. ახლა მე, როგორც უბრალო რიგითი ადამიანი, გამოვთქვამ, რაც გულში სიმწარე მიდუღს: მე მესმის ჩემი დანაშაულის მთელი სიმძიმე და ვინანიებ მას. სასამართლოს ვთხოვ სამართლიან გადაწყვეტილებას.

მიკროფონთან მიდის კვანტუნის არმიის ყოფილი მთავარსარდალი ბრალდებული იამადა.

— უწინარეს ყოვლისა, — ამბობს იგი,—მადლობას მოვახსენებ სასამართლოს, რომ მე და სხვა ბრალდებულებს დამცველები დაგვინიშნა. მე მინდა განვაზოგადო წინასწარი გამოძიების დროს და სასამართლოში მიცემული მთელი ჩემი ჩვენება და დავაზუსტო ჩემი მდგომარეობა.

მე დავიბადე სამხედრო მოსამსახურის ოჯახში, ყრმობიდან ვმსახურობ არმიაში, სადაც აღმზარდეს ბრძანებათა შესრულებისა და სამხედრო მოვალეობის შეგნების სულისკვეთებით. კვანტუნის არმიის მთავარსარდლის პოსტზე დანიშვნის შემდეგ მე ერთგულად და თანმიმდევრულად ვასრულებდი სამხედრო სამინისტროს და იაპონიის არმიის გენერალური შტაბის ყველა ბრძანებასა და მითითებას. მე ვაღიარებ ჩემს პასუხისმგებლობას ბაქტერიოლოგიური ომის მზადების გაძლიერებისათვის. რაც შეეხება იმ საშინელ დანაშაულობებს, რომლებიც ჩადენილ იქნა ბაქტერიოლოგიური ომის მზადების დროს, მათთვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ № 731 და № 100 რაზმების უფროსებს და კვანტუნის არმიის ყველა მთავარსარდალს, მათ შორის მეც, რომლებიც თავიანთი მხრივ ასრულებდნენ ზემდგომი ინსტანციების მითითებებს.

მე ვაღიარებ ჩემს დანაშაულს ყველა იმ ბოროტმოქმედებაში, რომლებიც ამ რაზმებში ჩადენილ იქნა ბაქტერიოლოგიური ომის მოსამზადებლად. მე მესმის ჩემი დანაშაულის მთელი სიმძიმე, მესმის, თუ რაოდენ დიდი იყო ეს დანაშაული, და ამიტომ არ ვუფიქრდები, ამისათვის სასტიკ თუ მსუბუქ სასჯელს მომისჯიან.

თავის უკანასკნელ სიტყვაში ბრალდებულმა კაძიცუკამ თქვა:

— მე თავს ვაღიარებ დამნაშავედ ჩემთვის წამოყენებულ ბრალდებებში და მზად ვარ მივიღო ყოველი უსასტიკესი სასჯელი.

მე არ ვაპირებ თავი ვიმართლო, მხოლოდ ჩემს გრძნობებს გამოვთქვამ. მე დავიწყე მედიცინის შესწავლა, რათა სამსახური გამეწია ჯანმრთელობის დაცვის საქმისათვის, მემსახურნა კაცობრიობის საკეთილდღეოდ. და ჩემთვის სამარცხვინოდ მიმაჩნია, რომ მე — ექიმი, ჰუმანური პროფესიის წარმომადგენელი, ნაცვლად იმისა, რომ შემესრულებინა ჩემი წმიდა ვალი ადამიანთა წინაშე, წავედი სხვა გზით, ბაქტერიოლოგიური ომისათვის მზადების გზით, ომისა, რომელშიც მიკრობებს იარაღად იყენებენ. თავს დამნაშავედ ვგრძნობ ხალხთა წინაშე. სინანულს გამოვთქვამ, რომ საქმე მქონდა ამ ბოროტმოქმედებასთან.

ბრალდებულმა სატომ განაცხადა:

— 1941 წლიდან მე ვიყავი ორი ბაქტერიოლოგიური რაზმის უფროსი და უშუალოდ ვხელმძღვანელობდი ბაქტერიოლოგიური ომისათვის მზადებას. ჩემ მიერ ჩადენილი დანაშაული ეწინააღმდეგება ექიმის მოვალეობას, სამედიცინო ეთიკას. ჩემი დანაშაულობანი მიმართული იყო კაცობრიობის წინააღმდეგ. სასამართლოს წინაშე სინანულს გამოვთქვამ ჩემ მიერ ჩადენილ დანაშაულობათა გამო. მადლობას მოვახსენებ დაცვას. და უნდა ვთქვა, რომ მრცხვენოდა, რომ ისეთ დამნაშავეს, როგორიც მე ვარ, იცავენ კიდევაც. თავი ამის ღირსად არ მიმაჩნდა. სასამართლოს ვთხოვ სამართლიან განაჩენს.

შემდეგ მიკროფონთან მიდის ბრალდებული ხირაზაკურა.

— ამ პროცესზე, — ამბობს იგი, — უწინარეს ყოვლისა ბოლომდე მხილებულ იქნა საერთაშორისო რეაქციის დანაშაულებრივი გეგმები ბაქტერიოლოგიური ომის მზადების დარგში. ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ საბჭოთა არმიამ დროზე ჩაშალა ყველა გეგმა იაპონიის იმპერიალიზმისა, რომელიც ბაქტერიოლოგიურ ომს ამზადებდა.

სასტიკი დასჯა ჩვენი, ბაქტერიოლოგიური ომის მომზადების მონაწილეებისა, გამაფრთხილებელი და ჭკუის სასწავლი იქნება იმათთვის, ვინც ცდილობს ასეთი ომის მომზადებას. იმედი მაქვს, რომ სასტიკად ვიქნებით დასჯილნი არა მარტო ჩვენ, არამედ აგრეთვე მთავარი დამნაშავენი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ბაქტერიოლოგიური ომის მომზადებისათვის — იაპონიის იმპერატორი ხიროხიტო, გენერალი ისიი, გენერალი ვაკამაცუ, რომლებიც არ არიან აქ, ბრალდებულთა სკამზე.

ბრალდებულმა მიტომომ თავის უკანასკნელ სიტყვაში განაცხადა:

— იმ დროს, როცა № 100 რაზმში ვმუშაობდი, შეგნებული არ მქონდა ჩემი ბოროტმოქმედების მთელი სიმძიმე. საბჭოთა კავშირში ოთხ წელს ცხოვრების შემდეგ და განსაკუთრებით ამ დღეებში სასამართლოში ღრმად შევიგნე ჩემ მიერ ჩადენილ დანაშაულობათა მთელი სიმძიმე. მე პირველად შევიტყე სიმართლე საბჭოთა კავშირის შესახებ, გავიცანი საბჭოთა ადამიანები, დავრწმუნდი, თუ რა ჰუმანური და კეთილშობილი არიან ისინი. მე შევიგნე მთელი ჩემი პასუხისმგებლობა. ვინანიებ ჩემს მონაწილეობას ბოროტმოქმედებაში.

შემდეგ გამოვიდა ბრალდებული ტაკახასი.

— მე საბჭოთა კავშირი პირველად გავიცანი მხოლოდ მას შემდეგ, — ამბობს იგი, — რაც საკუთარი თვალით დავინახე, თუ როგორ ცხოვრობს ეს ქვეყანა. ის, რასაც თავის უკანასკნელ სიტყვაში ბრალდებული კავასიმა ამბობდა საბჭოთა კავშირზე, სრულიად სამართლიანია. სავსებით ვეთანხმები მას. მადლობელი ვარ იმისათვის, რომ დამინიშნეს დამცველი, იმ სიტყვებისათვის, რომლებიც მან გამონახა ჩემს დასაცავად, დამნაშავის დასაცავად. მე შევიგნე ჩემი დანაშაულობის მთელი სიღრმე, მთელი სიმძიმე და მსურს სასამართლოს ვთხოვო — შემიმსუბუქოს სასჯელი.

ბრალდებულმა კიკუჩიმ თავის უკანასკნელ სიტყვაში თქვა:

— ადრე ბავშვობიდან მასწავლიდნენ იაპონიის იმპერატორის ერთგული ვყოფილიყავი. მეგონა, რომ ჩემი მუშაობით სამსახურს გავუწევდი ჩემს ხალხს, მაგრამ მომატყუეს. და აქ, საბჭოთა კავშირში ოთხ წელს ყოფნისას, საბჭოთა ადამიანების მხრივ იაპონელი სამხედრო ტყვეებისადმი გულთბილი, ადამიანური მოპყრობის მეოხებით, მივხვდი, თუ როგორ მომატყუეს, თუ რა ყალბი და არასწორი იყო ჩემი აღზრდა. საკუთარი თვალით დავრწმუნდი საბჭოთა კავშირის მთელ სიმართლეში. ჩემს სულში მოხდა გარდატეხა, რომლის კვალიც მთელ სიცოცხლეში დარჩება. ვწუხვარ, რომ ბრალდებულთა სკამზე არა სხედან ყველა მთავარი დამნაშავენი, ბაქტერიოლოგიური ომის მთავარი ორგანიზატორები და სულისჩამდგმელები. მე გამსჭვალული ვარ მათდამი სიძულვილისა და ზიზღის გრძნობით.

შემდეგ გამოვიდა ბრალდებული კურუსიმა. მან განაცხადა:

— მე შეგნებული მაქვს მთელი სიმძიმე ჩემი ბოროტმოქმედებისა, სიმძიმე ჩემი დანაშაულისა, რომელიც ჩავიდინე როგორც № 731 რაზმის ფილიალის თანამშრომელმა. ახლა უსაზღვრო სიძულვილს ვგრძნობ იაპონიის სამხედრო ხროვისადმი, რომელმაც ჩამითრია ავაზაკურ საქმეში — ბაქტერიოლოგიური ომის მომზადებაში. ბავშვობიდან მზრდიდნენ დამპალი იდეოლოგიის ვითარებაში. დასასრულ მინდა ვთქვა, რომ აქ, საბჭოთა კავშირში, მე, ისე როგორც სხვა სამხედრო ტყვეებს, მეპყრობოდნენ რასობრივი დისკრიმინაციის გარეშე. მე ახლა ის კურუსიმა როდილა ვარ, რომელიც ოთხი წლის წინათ ვიყავი.

ბრალდებულმა ნისიმ განაცხადა: — ვერაფერს ვერ დავძენ იმას, რაც აქ ვილაპარაკე. ველოდები საბჭოთა სასამართლოს სამართლიან განაჩენს.

უკანასკნელი გამოვიდა ბრალდებული ონოუე. — როგორც წინასწარი გამოძიების დროს, ისე სასამართლოში გულწრფელად ვაღიარე ჩემი მონაწილეობა იმ ბოროტმოქმედებაში, რაც № 731 რაზმში ჩავიდინე. ერთხელ კიდევ ვინანიებ ამ დანაშაულს.

მოისმინა რა ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვები, სასამართლო გავიდა სათათბიროდ განაჩენის გამოტანისათვის.

განაჩენი

გამოტანილი იაპონიის არმიის სამხედრო მოსამსახურეებისათვის, რომელთაც ბრალად ედებათ ბაქტერიოლოგიური იარაღის მომზადება და გამოყენება

ხაბაროვსკი, 30 დეკემბერი. (საკდესი). დღეს, საღამოს სხდომაზე, ზღვისპირეთის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა განაჩენი გამოუტანა იაპონიის არმიის ყოფილ სამხედრო მოსამსახურეებს, რომელთაც ბრალად ედებათ ბაქტერიოლოგიური იარაღის მომზადება და გამოყენება.

სასამართლომ მიუსაჯა: ბრალდებულებს იამადას, კაძიცუკას, ტაკახასისა და კავასიმას 25 წლის შრომა-გასწორების ბანაკი; ბრალდებულებს სატოსა და კარასავას — 20 წლის; ნისის — 18 წლის; მიტომოს — 15 წლის; ონოუეს— 12 წლის; ხირაზაკურას — 10 წლის; კურუსიმას — 3 წლისა და კიკუჩის — 2 წლის შრომა-გასწორების ბანაკი.

სასამართლოს დარბაზში მყოფი ხაბაროვსკის მშრომელთა წარმომადგენლები განაჩენს უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ.

ტურნირი ქალთა მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში

30 დეკემბერს წითელი არმიის ცენტრალური სახლის საკონცერტო დარბაზში შედგა ჭადრაკში ქალთა მსოფლიო პირველობის ტურნირის მეექვსე ტური.

ბიკოვამ (სსრ კავშირი), რომელიც შავებით თამაშობდა გერმანოვასთან (პოლონეთი), უკვე მე-11 სვლაზე მოიგო პაიკი. მალე მან კიდევ ორი პაიკი მოიგო. ლაზიერების გაცვლისა და პოზიციის გამარტივების შემდეგ გერმანოვამ თავი დამარცხებულად ცნო.

თანმიმდევრულად ჩაატარა მთელი პარტია ბელოვამ (სსრ კავშირი), რომელიც შავებით თამაშობდა მორასთან (კუბა). საინტერესო მანევრების შედეგად ბელოვამ მოიგო პაიკი და თავისი ეტლებით დაიკავა მეორე ჰორიზონტალი, რითაც დაშამათების საფრთხე შეუქმნა თეთრების მეფეს. 35-ე სვლაზე მორა დანებდა.

რუბცოვამ (სსრ კავშირი) მოუგო ლარსენს (დანია), რომელმაც ძნელ პოზიციაში წინდაუხედავად გადასწია თავისი მეფე და დაკარგა ეტლი. შოდე დე სილანსმა (საფრანგეთი) ძლიერად ჩაატარა იერიში და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა გრესერთან (ამერიკის შეერთებული შტატები).

გრუშკოვა-ბელსკამ (ჩეხოსლოვაკია) წააგო ჰეემსკერკთან (ჰოლანდია). ბენინისა (იტალია) და კელერის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) პარტია გადაიდო. კელერს 4 ზედმეტი პაიკი აქვს.

გადადებულ პოზიციაში რუდენკოს (სსრ კავშირი) მცირე პოზიციური უპირატესობა აქვს ლანგოშის (უნგრეთი) წინააღმდეგ. ტრენმერის (ინგლისი) და კარფის (ამერიკის შეერთებული შტატები) გადადებულ პარტიაში ტრენმერს ზედმეტი პაიკი აქვს.

31 დეკემბერს გათამაშდა ტურნირის მეხუთე და მეექვსე ტურის დაუმთავრებელი პარტიები.

სწრაფად დამთავრდა კარფ (ამერიკის შეერთებული შტატები) — ბელოვას (სსრ კავშირი) პარტია. მას შემდეგ, რაც ბელოვამ თავისი პაიკი ლაზიერად გაიყვანა, კარფმა თავი დამარცხებულად ცნო.

რუდენკომ (სსრ კავშირი) ზუსტი თამაშით მოუგო ლანგოშს (უნგრეთი).

რუბცოვამ (სსრ კავშირი) ჰეემსკერკთან (ჰოლანდია) თამაშში თავი ვერ დააღწია მძიმე მდგომარეობას და იძულებული გახდა დაეთმო პარტია.

გრუშკოვა-ბელსკამ (ჩეხოსლოვაკია) კარგად გამოიყენა თავისი მატერიალური უპირატესობა და მოუგო კელერს (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

ბიკოვამ (სსრ კავშირი) წააგო ბენინისთან (იტალია). ბენინი გაუთამაშებლად დანებდა კელერს.

ტრენმერმა (ინგლისი) პარტიაში კარფთან ხარისხი შესწირა, მიიღო ორი გადაბმული გამსვლელი პაიკი და გამარჯვება მოიპოვა.

შოდე დე სილანსმა (საფრანგეთი) მოუგო მორას (კუბა).

ლანგოშ-ტრენმერის პარტია ყაიმით დამთავრდა. (საკდესი).

ენის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტში ჩატარდა სამეცნიერო სესია, მიძღვნილი აკადემიკოს ნ. მარის ხსოვნისადმი.

29 დეკემბრის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებანი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, პროფესორ გ. ახვლედიანისა — „აკადემიკოს ნ. მარის ენათმეცნიერული მემკვიდრეობის შემოქმედებითი ათვისება და ჩვენი უახლოესი ამოცანები“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტის, პროფესორ ვ. ბერიძისა — „აკადემიკოსი ნ. მარი (1864-1934)“, პროფესორ გ. ახვლედიანისა — „სამი ფონეტიკური კანონი (მარის, ფორტუნატოვის და ვერნერისა)“, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ თ. შარაძენიძისა — „ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის პრინციპების გაგებისათვის“, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ ივ. ქავთარაძისა — „XIII—XVIII საუკუნეთა ქართული ისტორიული საბუთების ენის ფონეტიკური და მორფოლოგიური თავისებურებანი“.

30 დეკემბრის სხდომაზე მოხსენება გააკეთეს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ს. ჟღენტმა — „წარმოთქმის ძირითადი თავისებურებანი ქართული ენის მთის კილოებში“, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ქ. ლომთათიძემ — „უნიშნო ვნებითის ისტორიისათვის ქართულში“, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ალ. მაჰომეტოვმა — „პრევერბი კუბაჩურში“, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ვლ. ფანჩვიძემ — „მიცემითი I-ის ერთი სუფიქსის საკითხისათვის უდურ ენაში“, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ალ. ლეკიაშვილმა — „ელატივის ფორმის გენეზისისათვის არაბულში“.

ინსტიტუტი 1950 წლის 3 იანვარს აწყობს გამსვლელ სამეცნიერო სესიას ჩოხატაურში, სადაც მოსმენილ იქნება მოხსენებანი: ვ. ბერიძისა — „აკადემიკოსი ნ. მარი (1864-1934)“, ს. ჟღენტისა — „აკადემიკოს ნ. მარის ცხოვრება და შემოქმედება“, გ. ახვლედიანისა — „აკადემიკოს ნ. მარის ენათმეცნიერული მემკვიდრეობის შემოქმედებითი ათვისება და ჩვენი უახლოესი ამოცანები“ და „აკადემიკოს ნ. მარის აჰარმონიზაციის ფონეტიკური კანონი ქართულში“, აგრეთვე მოგონებანი.

„ლიტერატურული ალმანახი“

აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა „ლიტერატურული ალმანახი“, რომელშიც მოთავსებულია შემდეგი ნაწარმოებნი: ირაკლი აბაშიძე—„ლავრენტი ბერიას“ (ლექსი), დიმიტრი გულია — „ბოლშევიკური სიტყვა“ (ლექსი, თარგმანი აფხაზურიდან ალიო მირცხულავასი), კლიმენტი გოგიავა — „ივრის მომავალი“ (მოთხრობა), ოთარ ჭელიძე—„რკინის ბრიგადირი“ (პოემა), კონსტანტინე სიმონოვი — „უცხო აჩრდილი“ (პიესა, თარგმანი ხუტა ბერულავასი); თენგიზ გოგოლაძე — „გარიყულას განთიადი“ (მოთხრობა), ბენო თათარიშვილი — „ურაველი“ (მოთხრობა), ელიზბარ უბილავა — „მეწისქვილე“ (მოთხრობა), ნიკოლოზ ჩაჩავა — „პატარძალი“, „ქვაჩახის მოსავალი“ (ლექსები), თეიმურაზ ჯანგულაშვილი — „ზანგი ჯარისკაცი“ (ლექსი), ამირან აბშილავა — „წერილები სამხრეთში“ (ლექსები), ალექსანდრა ჩხენკელი — „ძვირფასი სახსოვარი“ (მოთხრობა), ემილიან ქურდიანი — „ყანური“, „კახეთში“ (ლექსები), ვლადიმერ მისაბიშვილი — „გორის ციხე“, „დედა“ (ლექსები), ოთარ კუპრავა — „მე ქართველი ვარ“ (ლექსი). მირიან დგებუაძე — „შრომის წიგნაკი“, „ფარდულის დარაჯი“ (მოთხრობები), ვახტანგ ცანავა — „შენ საქართველოს მესტორიევ“ (ლექსი), პლატონ ასანიძე — „აკაკის სარეცელი“ (ლექსი), პ. რატიშვილი — „ძუკუ რიგვავა“ (ნარკვევი), დიმიტრი გიბერია — „მავზოლეუმი“, „კრემლი“ (ლექსები), ვანო ოქუმელი — „მეტყვიამფრქვევის ლეგენდა“ (ლექსი), ალექსანდრე თოფურია — „რას ბუბუნებს ქართლის მიწა“ (ლექსი), სიმონ წვერავა — „ჩვენი სოფლის ადამიანები“ (ნარკვევები), ხუტა ბერულავა — „რუსის წყარო“ (ლექსი).

კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში მოთავსებულია მიხეილ დელბას, სიმონ წვერავას, იოსებ ბოცვაძის, შალვა ღლონტის, ეთერ გვენეტაძის, ალეკო შენგელიას, ივანე თარბას, ხუხუტი ბღაჟბას და პარმენ ჭანიშვილის წერილები.

ალმანახის რედაქტორია ხუტა ბერულავა. წიგნი შეიცავს 322 გვერდს და ღირს 15 მანეთი.

ახალი წიგნები სოფლის მეურნეობაზე

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა შემდეგი ახალი წიგნები:

პროფესორი ა. პ. კიზირია — **მეცხოველეობის მეურნეობის მარტივი მექანიზაცია.** გვერდი 84, ფასი 3 მან. და 25 კაპ.

პროფესორი ვ. პ. ნიკიტინი — **მეფრინველეობა.** გვერდი 706, ფასი 15 მან.

ი. ა. გაბუნია — **საკოლმეურნეო საფუტკრის მოვლა.** გვერდი 256, ფასი 6 მან. და 60 კაპ.

ვ. ნ. ლიაშენკო — **როგორ გავადიდოთ ძროხის წველადობა.** გვერდი 40, ფასი 1 მან.

თეატრებში

3 იანვარს: რუსთაველის სახელობის—„დიადი მომავლისათვის“ (დღისით და საღამოს მე-8 სერიის მეოთხე სპექტაკლი); **მარჯანიშვილის სახელობის** — „ვინ არის დამნაშავე“; **გრიბოედოვის სახელობის** — „სამშობლო“ (მე-7 აბ. პირველი სპექტაკლი); **მუსიკალური კომედიის**— „სოფლის საამო საღამოები“ (დღისით), „სამთა სიყვარული“ (საღამოს); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „თამარის ბაჟანი“ (50 აბ. 10 ს., 55 აბ. 2 ს.), „უეცარი სიმდიდრე“ (8 ს.).

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტუბერკულოზური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის რესპუბლიკური ტუბერკულოზური დისპანსერი აცხადებს კონკურსს შემდეგ საექიმო თანამდებობებზე:

1. ტუბდისპანსერის მთავარი ექიმი (ფთიზიატრი, სტაჟით არანაკლებ 10 წლისა);
2. ფილტვის ტუბერკულოზის მოზარდთა განყოფილების გამგე — 1 (ფთიზიატრი, სტაჟით არანაკლებ 10 წლისა);
3. ბავშვთა ტუბერკულოზის განყოფილების გამგე — 1 (პედიატრ-ფთიზიატრი, სტაჟით არანაკლებ 10 წლისა);
4. უბნის ექიმები მოზრდილთათვის — 2,5 (ფთიზიატრი, სტაჟით არანაკლებ 5 წლისა);
5. უბნის ექიმები ბავშვთათვის — 2 (პედიატრ-ფთიზიატრი, სტაჟით არანაკლებ 5 წლისა);
6. ქირურგი — 1 (სტაჟით არანაკლებ 5 წლისა);
7. ლარინგოლოგი — 0,5 განაკვეთზე (სტაჟით არანაკლებ 5 წლისა);
8. დერმატოლოგი — 1 (კანის ტუბერკულოზი, სტაჟით არანაკლებ 5 წლისა);
9. რენტგენოლოგი — 2 (სტაჟით არანაკლებ 5 წლისა);
10. ექიმი ლაბორანტი — 1 (სტაჟით არანაკლებ 5 წლისა);
11. ორგმეთოდკაბინეტის გამგე — 1 (სტაჟით ამ დარგში არანაკლებ 5 წლისა);
12. ექიმი ინსტრუქტორი-მეთოდისტი — 1 (სტაჟით ამ დარგში არანაკლებ 3 წლისა).

კონკურსის ვადა ათი დღე დღიდან გამოცხადებისა.

კონკურსის მონაწილემ ორ-ორ ეგზემპლარად უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, დიპლომის ასლი, ნოტარიუსის მიერ შემოწმებული, პარტიული და სამსახურებრივი დახასიათება, განცხადება, ფოტოსურათი.

განცხადება სათანადო საბუთებით უნდა წარმოადგინონ რესპუბლიკური ტუბერკულოზური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის სახელზე: ქ. თბილისი, ხუდადოვის ტყე, მონტინის მე-4 შესახვევი.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ცხოველთა ანატომიის კათედრის ერთი ასისტენტის თანამდებობაზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: სათანადოდ შემოწმებული კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, დიპლომის ასლი, ცნობა სამეცნიერო ხარისხის და სამეცნიერო წოდების მინიჭების შესახებ, სამეცნიერო ნაშრომების სია, საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან.

კონკურსის ვადაა 10 დღე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. განცხადება მიიღება დირექტორის სახელზე, მარის ქ. № 15.

მოქალაქე **მარკლენა პავლეს ასულმა მახარაძემ**, მცხოვრებმა სანაპიროს ქ. № 7, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **დურმიშხან აკაკის-ძე გუჯაბიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს სტალინის რაიონის მეხუთე უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **კუზმან ალექსანდრეს-ძე მეშკოვმა**, მცხოვრებმა 5 დეკემბრის ქ. № 52, აღძრა საქმე, 5 დეკემბრის ქ. № 33 მცხოვრებ მოქალაქე **ტაისია პავლეს ასულ მეშკოვასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლო.

შვილები ილია, დავით, გიორგი, რძლები ანა, ზიზილო, შვილიშვილი მანანა ურუშაძეები იუწყებიან **გიორგი ბეჟურის-ძე ურუშაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-I ქ. ლანჩხუთში, მარქსის, 14.

რუსუდან, ვასო ურუშაძეები შვილებით იუწყებიან **გიორგი ბეჟურის-ძე ურუშაძის** გარდაცვალებას.

ნ. მ. რუხაძე, ი. ი. ნიბლაძე, ვ. პ. მანჯგალაძე, გ. მ. გვიშიანი, გ. დ. სიმონიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ი. ურუშაძეს მისი მამის **გიორგი ბეჟურის-ძე ურუშაძის** გარდაცვალების გამო.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დირექციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნორა ჩიქვაიძეს მისი დედის **ნინო ბესარიონის ასულ ქუთათელაძის** გარდაცვალების გამო.

ფაინა გუნიავა და კარპე ანანოვი იუწყებიან ძმის და ცოლისძმის **დავით გიორგის-ძე გუნიავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-I ქ. ზესტაფონში.

ბიძა ვანო, ბიცოლა ბაბილო შვილებით კარლო, შურა, სოფო, თინა ბახტაძეები, სიძეები ი. დოლიძე, მ. ჩხეიძე, გ. ჯაფარიძე იუწყებიან **ბაბულია სევერიანეს ასულ კიზივაძის** გარდაცვალებას.

მშობლები ელიზბარ, ქეთევან, და ზიზი ბაბაკიშვილები იუწყებიან **ოზიკო ელიზბარის-ძე ბაბაკიშვილის** გარდაცვალებას, პანაშვიდი 3, 4-I, 7½ ს. გამოსვენება 5-I, 4½ ს., გორკის, 15.

ბებია მარიამ, ბიძები ვანო და პავლე ოჯახით, დეიდები მერი, კატო, მარინე ლადიძეები ოჯახებით, სიძე წერეთელი, ბიძაშვილი ვ. ქურხული იუწყებიან **ოზიკო ბაბაკიშვილის** გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხე-ტყის დამზადების ტრესტის ხის გადამამუშავებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი იუწყება **მამედ ჰასანის-ძე გოგიტიძის** გარდაცვალებას.

პ. უბერი, გ. ჩაჩიბაია, თ. ყუფუნია, გ. ლაშხია, ლ. ჯანაშია, გ. ბასილაია, თ. გოგია, მ. ყუფუნია, მ. გერგაია, მ. ლუკავა, ნ. ვეკუა, ტ. ლაგვილავა, ჩ. სიგუა, ქ. ოსიძე თანაგრძნობას უცხადებენ შ. პატარაიას მისი დედის **ანა დიმიტრის ასულ პატარაიას** გარდაცვალების გამო.

ქარხანა „დაზგის“ მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი თანაგრძნობას უცხადებენ ნ. კიზივაძეს მისი დის **ბაბულია სევერიანეს ასულ კიზივაძის** გარდაცვალების გამო.

ვაჟთა მე-15 საშუალო სკოლის პედკოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ლ. ლომინეშვილს მისი ძმის **პოლიო ლომინეშვილის** გარდაცვალების გამო.

დედა ციბულო, მეუღლე ანეტა, შვილი ლილი ლომინეშვილები, დები ლუბა, ნადია, რძალი თამარ, სიძე ი. ასიეშვილი იუწყებიან **პოლიო ვასილის-ძე ლომინეშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4-I, 7½ ს. გამოსვენება 5-I, 4 ს. აუზის, 1.

შვილები შალვა, ნიკოლოზ, კოტე, მარო, ძმა პარმენ, დები ლეონილა, ნინო ოჯახებით, რძლები ვარვარა, რიტა, მარგარიტა, ელენე, მატრონა, ოლია, სიძე ასლანბეგ პლიევი, შვილიშვილები იუწყებიან **ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე სარდალიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-I, ქ. ზესტაფონში, ვოროშილოვის, 5.

ძმები შალვა, კალისტრატე გვეტაძეები, რძლები ნუნუ და მარო, ძმისწულები მარლენი, კოკია, შოთა, ნინო, შვილები თინა, ფაცია და თალიკო იუწყებიან **შუშანა გიორგის ასულ გვეტაძე-ბიბილაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-I ს. მოწამეთაში (ტყიბულის რაიონი).

ვ. ჭყონია, გ. რაქვიაშვილი, თ. დავითაშვილი, ვ. დოლიძე თანაგრძნობას უცხადებენ ფ. გუნიავას მისი ძმის **დავით გიორგის-ძე გუნიავას** გარდაცვალების გამო.

მშობლები მარიამ, ივანე კანდელაკები, მეუღლე ივანე ციუმა, შვილები თინათინ, ვენერა იუწყებიან **სოფიო ივანეს ასულ ციუმას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4-I, 7 ს. გამოსვენება 5-I, 4 ს. მესხიშვილის, 13.

ელენე, იასონ ჩუბინეიშვილები, როზა, კარლო ზაქარეიშვილები იუწყებიან **პოლიო ვასილის-ძე ლომინეშვილის** გარდაცვალებას.

სამტრესტის დიღმის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეები და სპეციალისტები თანაგრძნობას უცხადებენ დ. სანაძეს მისი ცოლისდის **ბაბულიას** გარდაცვალების გამო.

მშობლები ფედოსია, სევერიანე, ძმა კოლია, დები თამარ, ოლია, ნადია, სიძეები კორნელი, დავით სანაძეები, რძალი ეკატერინე იუწყებიან **ბაბულია სევერიანეს ასულ კიზივაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 3-I, 4 ს., ბარნოვის, 26.

დედა თენზილე, მეუღლე მარიამ, შვილები სურია, ნაზიკო, ნათელა, ნანული, ენგერი, ძმები ნური, რეჯები ოჯახებით, სიძე ვ. რაზიკაშვილი, ელენე, მიხეილ დავიდოვები, ნ. ფარცხალაძე, გ. მინდოდაური იუწყებიან **მამედ ჰასანის-ძე გოგიტიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-I ქობულეთის რ. ს. ხუცუბანში.

საქსოფლმომარაგების რესპუბლიკური კანტორის, ცენტრალური ბაზის და საწარმოო განყოფილების მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან **მამედ გოგიტიძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ეპრაქსი, შვილები შალვა, გრიშა, ვასილ, მარუსია, რძლები სირენი, ქსენია, ნატალია ფუთურიძეები იუწყებიან **მელიტონ სოფრომის-ძე ფუთურიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-I, 5 ს. ქ. ქუთაისში, ივ. მარდალეიშვილის, 47.

მეუღლე ვლადიმერ, შვილები ნორა, გიორგი ქუთათელაძეები, რძალი ელენე, სიძე გ. ჩიქვაიძე, შვილიშვილები დოდო, ჯანიკო, გოგი იუწყებიან **ნინო ბესარიონის ასულ ქუთათელაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 4-I, 7½ ს. გამოსვენება 5-I, 5 ს., ჯავახიშვილის, 20.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 150.000 უე 00401